პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР ★ გამოცემის 33-ე წელი

№ 216 (9376) | ხუთშაბათი, 11 სექტემბერი, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია

პროფკავშირული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანა — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ზეგეგმითი ფეროშენადნობი სამშობლოს (1-ლი გვერდი).
სიონის წყალსაცავის მშენებელთა ვალდებულებები (1-ლი გვერდი).
მანქანათმშენებელთა შრომითი მიღწევები (1-ლი გვერდი).
საამქრომ პირობა გაანაღდა (1-ლი გვერდი).
ნ. მ. შვერნიკმა მიიღო მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ი. ცედენბალი (1-ლი გვერდი).
აფხაზეთის საოლქო პარტიული კონფერენცია (მე-2 გვერდი).
რევოლუციის რაინდი (მე-3 გვერდი).
მეტი ორგანიზებულობა ჩაის კრეფაში (მე-3 გვერდი).
გაუსწორებელი ცილისმწამებელი (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

პროფკავშირული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანა

საბჭოთა ხალხი საყოველთაო-სახალხო ზეიმის ვითარებაში აღნიშნავს მშობლიური კომუნისტური პარტიის XIX ყრილობისათვის მზადების დღეებს. ისტორიული დოკუმენტების — სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დირექტივების პროექტისა და პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტის პროექტის გამოქვეყნებამ მთელი საბჭოთა ხალხის, ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს თითეული მშრომელის უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია. ეს აღმავლობა თავის მკაფიო გამოხატულებას პოულობს საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დირექტივების პროექტი ითვალისწინებს ახალ ხუთწლედში სამრეწველო წარმოების დონის ამაღლებას დაახლოებით 70 პროცენტით, წინა ხუთწლედთან შედარებით მრეწველობაში სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების თითქმის ორჯერ გადიდებას, ნაციონალური შემოსავლის ზრდას სულ ცოტა 60 პროცენტით, მარცვლეული და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობის მკვეთრად ამაღლებას, მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების შემდგომ შემცირებას, მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასის გადიდებას საქონლის საცალო ფასების შემცირების გათვალისწინებით სულ ცოტა 35 პროცენტით. ახალი ხუთწლედის დირექტივების პროექტი ითვალისწინებს აგრეთვე საბინაო მშენებლობაში კაპიტალური დაბანდების დაახლოებით ერთიორად გადიდებას და ახალ ხუთწლედში ქალაქებსა და მუშათა დაბებში სახელმწიფო მშენებლობის ხაზით 105 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის აგებას. მკვეთრად გაუმჯობესდება მშრომელთა სამედიცინო მომსახურება, უფრო მაღალ საფეხურზე ავა სახალხო განათლება.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დირექტივების პროექტით დასახული ეს გრანდიოზული ამოცანები ერთხელ კიდევ მთელი სიცხადით ადასტურებენ წარმოების სოციალისტური სისტემის უდიდეს უპირატესობას წარმოების კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით, ადასტურებენ იმას, რომ ლენინ-სტალინის პარტიის, საბჭოთა მთავრობის მთელი მოღვაწეობა მიმართულია სოციალიზმის ქვეყნის ეკონომიური ძლიერების, მისი შემდგომი წინსვლის, ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ამაღლების, მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვის ინტერესებისაკენ.

ყოველივე ეს კარგად აქვთ შეგნებული საბჭოთა ადამიანებს და ამიტომ არის, რომ ისინი მშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ დასახულ ყოველ ამოცანას, მიმართულს საბჭოთა სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისა და ხალხის კეთილდღეობისაკენ, ასეთი ერთსულოვანი აღფრთოვანებით, უდიდესი მოწონებით ხვდებიან. ასეა ამჯერადაც. როგორც კი გამოქვეყნდა ცნობა პარტიის მორიგი ყრილობის მოწვევის შესახებ, მთელმა საბჭოთა ხალხმა ახალი ძალით გააჩაღა ყრილობის აღსანიშნავი საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება.

მოსკოვის საავტომობილო ქარხნის მაგალითისამებრ, ყრილობისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად ჩვენს რესპუბლიკაში გამოვიდა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი, რომელმაც კონკრეტული ვალდებულებები იკისრა და მოუწოდა დედაქალაქის საწარმოთა კოლექტივებს მიებაძათ ამ თაოსნობისათვის. ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელთა ინიციატივამ აქტიური მხარდაჭერა ჰპოვა მთელი ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებში, ახალმშენებლობებზე, ტრანსპორტზე, საკოლმეურნეო სოფელში. მშობლიური კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ თბილისელი ჩარხმშენებლები და მანქანათმშენებლები, რუსთავისა და ზესტაფონის მეტალურგები, ჭიათურელი მაღაროელები, ტყიბულელი და ტყვარჩელელი მეშახტეები, ქუთაისელი ავტომშენებლები, მრეწველობის ყველა დარგის კოლექტივები.

ყრილობისადმი მიძღვნილი შეჯიბრება ფართოდ ჩაღდება რესპუბლიკის საკოლმეურნეო სოფელშიც. კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები იბრძვიან მიმდინარე წლის უხვი მოსავლის უდანაკარგოდ აღებას, სახელმწიფოსათვის პურისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების გეგმების ვადამდე შესრულების, საშემოდგომო თესვის დროულად დამთავრებისა და პირუტყვის სანიმუშო გამოზამთრებისათვის.

სოციალისტური შეჯიბრების ძალა და ძლიერება მის მასობრიობაშია. სოციალისტურ შეჯიბრებას უდიდესი ნაყოფი მოაქვს იქ, სადაც პროფესიული ორგანიზაციები, პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ხელმძღვანელობით, სათავეში უდგანან ამ შეჯიბრებას და წარმართავენ მას მასების აქტივობის კიდევ უფრო ამაღლებისაკენ. პროფკავშირული ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობაა იბრძოლონ იმისათვის, რომ შეჯიბრებაში აქტიურად მონაწილეობდეს თითეული მუშა-მოსამსახურე და ინჟინერ-ტექნიკოსი. პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა შეჯიბრება უნდა წარმართონ საწარმოო გეგმების არა მარტო რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი მაჩვენებლების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისაკენ, არ დაკმაყოფილდნენ ცალკეული რეკორდებით, ერთეულ სტახანოველთა მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით, მიაღწიონ იმას, რომ შეჯიბრებაში ჩაბმული თითეული მშრომელი მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებდეს შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა გადაჭრით უნდა გააუმჯობესონ შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობა, გამოავლინონ და დაეხმარონ ჩამორჩენილებს, რომ ისინი გაუთანაბრდნენ მოწინავეებს, მიაღწიონ საერთო აღმავლობას.

პარტიის XIX ყრილობისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში საწარმოთა კოლექტივების მიერ ნაკისრი ვალდებულებები ამასთანავე ითვალისწინებენ შრომის ნაყოფიერების გადიდებას, ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის მაქსიმალურ მომჭირნეობას, პროდუქციის ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას, თვითღირებულების შემცირებას. ყველა ამ ვალდებულების სასახელოდ განაღდებაში პროფკავშირული ორგანიზაციები აქტიურად უნდა დაეხმარონ მუშათა კოლექტივებს, დასახონ კონკრეტული საშუალებები მათი განხორციელებისათვის.

ამ დღეებში გამოქვეყნდა საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება. პრეზიდიუმმა ყველა პროფკავშირულ ორგანიზაციას დაავალა „ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მხარი პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებას, რომელიც წარმოების მოწინავეთა ინიციატივით დაიწყო". ამავე დროს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მოუწოდა ყველა მუშას, ინჟინერ-ტექნიკოსს, მოსამსახურეს, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეს „კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე ახალი შრომითი გამარჯვებებით შეხვდნენ პარტიის XIX ყრილობას, კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმონ კომუნისტური პარტიის გარშემო, საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარშემო".

პროფკავშირული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა იბრძოლონ საკავშირო პროფსაბჭოს ამ დადგენილების განხორციელებისათვის, სათავეში ჩაუდგნენ მასების შრომით აქტივობას, უფრო მჭიდროდ დარაზმონ ისინი მიმდინარე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის, მშობლიური კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის.

ნ. მ. შვერნიკმა მიიღო მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ი. ცედენბალი

9 სექტემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. მ. შვერნიკმა მიიღო მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ი. ცედენბალი.

მიღებას დაესწრნენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ქ. სამბუ და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ნ. იდამჟაბი.

მიღებას აგრეთვე დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბ. ფ. პოდცეროვი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. თ. გორკინი. (საქდესი).

ფართოვდება შეჯიბრება პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად

ზეგეგმითი ფეროშენადნობი სამშობლოს

ზესტაფონი. (საქ. კორ.). საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ზესტაფონის ბერიას სახელობის ფეროშენადნობთა ქარხანაში. საამქროები, ცვლები, ბრიგადები და მდნობელები სტახანოვურ ვახტზე დგებიან და გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ.

ყრილობისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში ქარხნის კოლექტივმა პირველი სერიოზული წარმატება მოიპოვა — მიმდინარე წლის 8 თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, დაზოგა 746.000 კილოვატ-საათი ელექტროენერგია, მნიშვნელოვნად შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება და გაადიდა შრომის ნაყოფიერება.

სადნობმა საამქრომ აგვისტოში 13,6 პროცენტით გადააჭარბა საგეგმო დავალებას და 701.000 კილოვატ-საათი ელექტროენერგია დაზოგა. საამქროში განსაკუთრებით დაწინაურდა პირველი ცვლა, რომელმაც დავალება 114,7 პროცენტით გაანაღდა. პირველი და მესამე ცვლის იმ ღუმელებმა, რომლებსაც ი. აბესაძე და ა. შარიქაძე ხელმძღვანელობენ, აგვისტოში რამდენიმე ათეული ტონა მაღალხარისხოვანი ლითონი მისცეს სამშობლოს. ცალკეული მდნობელებიდან აღსანიშნავია გ. ნანიტაშვილის, ვ. ყანჩაველის, ი. სარალიძის, ქ. გეწაძის, ლ. ჭიპაშვილის და სხვათა დიდი წარმატება.

მარგანეცის საამქრომ 8 თვის გეგმა 103 პროცენტით შეასრულა, ხოლო აგვისტოსი 106,3 პროცენტით და 36.314 კილოვატ-საათი ელექტროენერგია დაზოგა. შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებების განაღდებისათვის წარმატებით იბრძვის ის ცვლა, რომლის უფროსია დ. ბოგვერაძე, ხოლო ბრიგადირი—კ. დვალი.

მეაგურეთა სიტყვა

ხაშური. (საქ. კორ.). ხაშურელი მეაგურეები დღითიდღე აძლიერებენ ბრძოლას ახალი წარმატებების მოპოვებისათვის.

ქარხნის კოლექტივმა 108,1 პროცენტით გაანაღდა წითელი აგურის გამოშვების აგვისტოს დავალება, ხოლო კაპიტალური მშენებლობისა—180 პროცენტით.

საყალიბე და გამოწვის საამქროების უფროსები ვ. არბოლიშვილი და დ. ნინორაძე, სტახანოველები ს. მალიძე, ე. გასიშვილი, ი. მიქელაშვილი, პ. გელაშვილი, ო. ჯიოშვილი პარტიის XIX ყრილობისადმი მიძღვნილ სტახანოვურ ვახტზე დგანან და ყოველდღიურ დავალებებს 160-180 პროცენტით ასრულებენ.

მეაგურეებმა იკისრეს სექტემბრის დავალება 25 რიცხვისათვის გაანაღდონ, ხოლო ყრილობის გახსნის დღისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვან 300 ათასი ცალი წითელი აგური.

სიონის წყალსაცავის მშენებელთა ვალდებულებები

საქართველოს ჰიდროენერგომშენებლობის ტრესტის სამშენებლო ობიექტების კოლექტივებს შორის ერთ-ერთი მოწინავეა სიონის წყალსაცავის მშენებელთა კოლექტივი, რომელიც საგეგმო დავალებას მუდამ გადაჭარბებით და ყველა მაჩვენებლების მიხედვით ასრულებს.

პარტიის მორიგი ყრილობის მოწვევით აღფრთოვანებული სიონმშენის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები, მოსკოვის ავტოქარხნისა და თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივების მაგალითისამებრ, ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ და იკისრეს შემდეგი ვალდებულებანი:

ყრილობის გახსნის დღის—5 ოქტომბრისათვის დაიწყონ გვირაბის მშენებლობა და მშენებლობის ყოველდღიური გეგმა შეასრულონ მნიშვნელოვანი გადაჭარბებით; 5 ოქტომბრისათვის შეასრულონ წლიური გეგმით გათვალისწინებული 4 მილიონი მანეთის საბინაო მშენებლობის სამუშაო და საექსპლოატაციოდ გადასცენ 6 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი მშენებლებისათვის; 15 სექტემბრისათვის დაამთავრონ ბეტონსარევი დანადგარების მონტაჟი და ბეტონის ბლოკების დამამზადებელი ქარხნის მშენებლობა; 1 ოქტომბრისათვის დაამთავრონ მექანიკური ხახელოსნოს აგება. მიმდინარე წლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა შეასრულონ 5 დეკემბრისათვის და მიაღწიონ მშენებლობის ღირებულების გაიაფებას, ხარისხის გაუმჯობესებას და წუნით გამოწვეული დანაკარგის მინიმუმამდე შემცირებას.

კიდევ უფრო გადიდებული ვალდებულებები იკისრეს მეარმატურეთა ბრიგადის ბრიგადირმა კომუნისტმა ი. ზიაბკინმა, კაშხალის მშენებლობის ბრიგადირებმა კომუნისტებმა შ. მიდელაურმა და ა. მიქელოვმა, მებეტონეთა ბრიგადის ბრიგადირებმა ა. წიკლაურმა და გ. ალიაშვილმა, გვირაბის მშენებლობის მოწინავე ბრიგადირებმა სტალინური პრემიის ლაურეატმა კომუნისტმა ი. ობოლაძემ და დ. სერდობინცევმა, ტყის მჭრელთა ბრიგადის ბრიგადირმა ვ. კარიაკინმა.

ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულების მიზნით სიონმშენის კოლექტივმა შეჯიბრებაში გამოიწვია ორთაჭალჰესის მშენებლობის კოლექტივი.

სიონმშენის მშენებლები სტახანოვურ ვახტზე დგანან და თავდადებით მუშაობენ ჩვენი პარტიის XIX ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის.

დ. მაჩაიძე,
სიონმშენის პარტბიუროს მდივანი.

მანქანათმშენებელთა შრომითი მიღწევები

ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა რიგებშია თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა. საწარმოს კოლექტივი მიმდინარე წელს მძლავრი შრომითი აღმავლობით აღინიშნავს. პირველ და მეორე კვარტალში საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით ქარხანა პირველ ადგილზე გამოვიდა და მიეკუთვნა საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა.

მანქანათმშენებლები მეორე კვარტალიდან შეუდგნენ ბოთლზე ალუმინის თავსახურის დამცობი ნახევრადავტომატური მანქანების სერიულ გამოშვებას. ამ მანქანების პირველი პარტია უკვე გაეგზავნა მოსკოვის არაყ-ლიქიორის ქარხანას. სექტემბრის ბოლომდე საწარმო კიდევ ცხრა ასეთ მანქანას დაამზადებს.

ქარხანამ ამ უკანასკნელ ხანს სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი სამინისტროს ციტრუსებისა და ჩაის საკრეფი მანქანების შემქმნელი სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს დაკვეთით აითვისა და უკვე დაამზადა ჩაის საკრეფი მანქანის ორი საცდელი ეგზემპლარი.

ქარხნის კოლექტივში დიდი პოლიტიკური და შემოქმედებითი აქტივობა გამოიწვია ცნობამ პარტიის XIX ყრილობის მოწვევის შესახებ. ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. გადიდებული ვალდებულებები იკისრა ყველა მუშამ.

— ამ ისტორიული თარიღის აღსანიშნავად ჩემი ბრიგადა სტახანოვურ ვახტზე დგება,—განაცხადა პირველი მექანიკური საამქროს ბრიგადირმა მ. შეპელევმა. ჩვენ ვკისრულობთ სექტემბერში დავამზადოთ ათი ჰორიზონტალური წნეხი და ექვსი ცალი ბაიდალაკოვის სისტემის ტუმბო. აღნიშნულმა ბრიგადამ 5 სექტემბრისათვის უკვე გამოუშვა ორი წნეხი.

სტახანოველმა ხარატმა ლ. გოქაძემ იკისრა სექტემბრის გეგმა 300 პროცენტით შეასრულოს, გაწიოს ლითონის მნიშვნელოვანი ეკონომია. ამასთან იკისრა იმ სამი შეგირდიდან, რომლებსაც იგი ზრდის, ყრილობის გახსნისათვის ერთ-ერთი გადაიყვანოს დამოუკიდებელ მუშაობაზე.

ვალდებულებათა შესრულებაში სასახელო მაჩვენებლებს აღწევენ სტახანოველები რ. ხორიაშვილი, ა. ინაძე, შ. ომანიძე, რომელთა დღიური გამომუშავება 250 პროცენტს აღწევს.

ქარხნის კოლექტივმა აგვისტოს გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა. ახლა იგი თავდადებით იბრძვის იმისათვის, რომ პირნათლად შეხვდეს ყრილობის მოწვევის დღეს — 5 ოქტომბერს.

თ. გოქსაძე.

საამქრომ პირობა გაანაღდა

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის სახარატო-მექანიკურ საამქროში გაცხოველებული მუშაობაა საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია საამქროს თითეული მუშაკი. შეჯიბრების ავანგარდში დგანან კომუნისტები და კომკავშირელები. ამ დღეებში განსაკუთრებით მაღალი ნაყოფიერებით ხასიათდება კომუნისტების, მრავალდაზგოსანი ხარატების — ს. ზარიძისა და მ. მამაგეიშვილის მუშაობა. მათ პირნათლად შეასრულეს აღებული ვალდებულება, 279 პროცენტით გაანაღდეს საწარმოო გეგმა და ამწყობ საამქროს დამატებით მისცეს ორთქლმავლის 5 ახალი ცილინდრი. მაღალი შრომითი მაჩვენებლები აქვს მბურღავთა ბრიგადას, რომელსაც გამოცდილი ოსტატი ე. ბერიაშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ გეგმის გადამეტებით 6 ახალი ცილინდრი დაამზადა.

კარგ შედეგებს აღწევს საამქროს კომკავშირული ბიუროს მდივანი, ჩამტეხი მ. სიჭინავა. იგი სტახანოვურ ვახტზე დგას და ყოველდღიურ ნორმას 180-190 პროცენტით ასრულებს. წარმატებით მუშაობენ აგრეთვე კომუნისტები, ჩქაროსანი ხარატები ა. მარგველაშვილი, ნ. გავრიკოვი, ს. შჩერბატიუკი, ვ. კოჩმაზოვი, ჩამტეხი გ. ბანეთაშვილი, მღარავი ს. პაპინაშვილი. კომუნისტებთან ერთად თავდადებით შრომობენ უპარტიო ბოლშევიკები, ხარატები რ. შავკანი, ქ. ვასილიევი, მღარავები ა. გარანკო, მბურღავი ნ. ტიტენკო, რომლებიც ცვლის დავალებას 180-260 პროცენტით ანაღდებენ.

საამქროს კოლექტივმა ვალდებულებით ნაკისრი 108 პროცენტის ნაცვლად 8 თვის გეგმა 110 პროცენტით გაანაღდა. ლითონის მომჭირნედ ხარჯვით, რაციონალურ წინადადებათა დანერგვით, შრომის სწორი ორგანიზაციით და სხვა ღონისძიებათა გატარებით მიღწეულია 93.273 მანეთის ეკონომია.

საამქროს კოლექტივი ძალასა და ენერგიას არ დაიშურებს, რათა პარტიის XIX ყრილობის გახსნას უფრო უკეთესი შრომითი მაჩვენებლებით შეხვდეს.

ი. ჯუმბურიძე,
სახარატო-მექანიკური საამქროს პარტბიუროს მდივანი.

შრომითი აღმავლობა ფოთის საწარმოებში

ფოთი. (საქ. კორ.). მშრომელები დღითიდღე აძლიერებენ მუშაობას, რათა მორიგი გამარჯვებებით შეხვდნენ პარტიის XIX ყრილობას.

რკინიგზის სავაგონო დეპოს კოლექტივმა ვაგონების შეკეთების წლიური გეგმა 30 აგვისტოსათვის შეასრულა. მაღალნაყოფიერად შრომობენ ზეინკლები ჭ. ესაკია, ა. მიმინოშვილი და დურგალი ერ. ჩუბინიძე, რომლებმაც აგვისტოს დავალებები 250 პროცენტით შეასრულეს.

აგვისტო მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით დაამთავრეს საორთქლმავლო დეპოშიც. შრომაში გამოირჩევიან მოწინავე რკინიგზელები დ. კაკაბაძე, ტ. კუჭუხიძე, ალ. კილასონია, ა. გაბელაია, ვ. იასნიცკი, ი. ფოტიდი. ფოთელი რკინიგზელები ეჯიბრებიან ბათუმისა და ნავთლუღის სატვირთო სადგურების კოლექტივებს, აგრეთვე სამტრედიის სადისპეტჩერო აპარატს.

ნავსადგურის კოლექტივს დასახული აქვს სერიოზული ამოცანა—110 პროცენტით შეასრულოს ტვირთის გადამუშავების 9 თვის გეგმა, წელს სახელმწიფოს მისცეს 1 მილიონი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება. ნავსადგურმა 29 აგვისტოსათვის თვიური გეგმა 103 პროცენტით შეასრულა.

საწარმოო აღმავლობაა სატრიკოტაჟო ფაბრიკაში. მქსოველი ლიდა მელია, რომელიც ყრილობის აღსანიშნავ ვახტზე დგას, ორი დაზგის მომსახურებით ყოველდღე ქსოვს 20-24 კილოგრამ ნართს, რაც ბევრად აღემატება ნორმით გათვალისწინებულს. შრომის მოწინავე მეთოდების გამოყენებით ადიდებენ პროდუქციის გამოშვებას მჭრელები ზ. ხუნწარია, ნ. გიორგაძე, მქსოველები პ. შულაია, მ. ბალაშევა, ნ. რამინაშვილი.

საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის გახსნის დღისათვის საწარმოო გამარჯვების მოსაპოვებლად იბრძვიან წისქვილკომბინატის, კოლხიდის მტს-ისა და სხვა საწარმოების კოლექტივები.



ქუთაისის საავტომობილო ქარხანა. ქარხნის კოლექტივში ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია ცნობამ საკავშირო კ. პ. (ბ) მორიგი XIX ყრილობის მოწვევის შესახებ. ყრილობის აღსანიშნავად ქარხნის მოწინავე ადამიანები სტახანოვურ ვახტზე დადგნენ. სურათზე: 1. ამწყობი საამქრო. მთავარი კონვეიერი. უბნის ოსტატი გ. შვანგირაძე (მარცხნივ) თვალყურს ადევნებს ამწყობი ზეინკლის ბ. ვაშაკიძის მუშაობას. ვაშაკიძემ ვალდებულება აიღო XIX ყრილობის აღსანიშნავად გეგმა 250 პროცენტით შეასრულოს. 2. საინსტრუმენტო საამქრო (მარცხნიდან მარჯვნივ): ზეინკალი ი. ჯულაძე, მხეხავი დ. ბაბუნაშვილი და მღარველი ვ. თოდაძე, რომლებმაც იკისრეს გეგმა 300 პროცენტით შეასრულონ.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

აფხაზეთის საოლქო პარტიული კონფერენცია

7-8 სექტემბერს გაიმართა აფხაზეთის საოლქო პარტიული კონფერენცია. კონფერენციამ მოისმინა და განიხილა შემდეგი საკითხები: საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ანგარიში; სარევიზიო კომისიის ანგარიში; საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროექტი — „პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ"; პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტის პროექტი; საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობის და საქართველოს კ. პ. (ბ) XV ყრილობის დელეგატების არჩევნები.

აფხაზეთის პარტიული ორგანიზაცია თავის XX კონფერენციას შეხვდა სერიოზული მიღწევებით სამეურნეო-კულტურული მშენებლობისა და იდეოლოგიური მუშაობის დარგში, პარტიულ-ორგანიზაციულ და პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში შეძენილი მდიდარი გამოცდილებით.

— იმის გამო, რომ აფხაზეთის პარტიულ ორგანიზაციაში გადმოტანილი არ იყო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის, მისი ყოფილი პირველი მდივნის კ. ჩარკვიანის მუშაობის მანკიერი სტილი,—განაცხადა საანგარიშო მოხსენებაში პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. შ. გეთიამ,— და ეს ორგანიზაცია მუშაობას განაგრძობდა ლენინურ-სტალინური სტილით, რომელიც აფხაზეთის პარტიულ ორგანიზაციაში, ისე როგორც საქართველოს მთელ პარტიულ ორგანიზაციაში, დანერგა ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ, მოპოვებულ იქნა თვალსაჩინო მიღწევები მუშაობის ყველა უბანზე.

საანგარიშო პერიოდში განუხრელად ვითარდებოდა აფხაზეთის მრეწველობა, რასაც ხელს უწყობდა ახალ საწარმოთა მშენებლობა, უახლესი ტექნიკით მათი აღჭურვა, საწარმოებში შრომის მოწინავე მეთოდების ფართოდ დანერგვა, მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა შემოქმედებითი ინიციატივა, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლა.

მრეწველობის დარგში მოპოვებულ წარმატებებს მომხსენებელი ცხადყოფს კონკრეტული მაგალითებით. შარშან აფხაზეთის მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა 109 პროცენტით შეასრულა, ხოლო მიმდინარე წლის 8 თვისა—102,3 პროცენტით. შრომის ორგანიზაციისა და ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებით დაზოგილია დიდძალი ნედლეული და ელექტროენერგია. განსაკუთრებით სერიოზული მიღწევებია მოპოვებული ქვანახშირის მრეწველობაში. უკანასკნელ წლებში შესამჩნევად გაფართოვდა ტყვარჩელის ქვანახშირის შახტები, გადიდდა ქვანახშირის მოპოვება. შარშან 1950 წელთან შედარებით 26 პროცენტით მეტი ქვანახშირი იქნა ამოღებული. მიმდინარე წლის 8 თვის გეგმა ტყვარჩელქვანახშირის ტრესტმა 107,8 პროცენტით შეასრულა. საუკეთესო მაჩვენებლებისათვის ტყვარჩელქვანახშირის ტრესტს წელს მეექვსედ მიეკუთვნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

აფხაზეთის მშრომელებმა, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, სერიოზული მიღწევები მოიპოვეს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში. კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებას დიდად შეუწყო ხელი აგრეთვე საანგარიშო პერიოდში განხორციელებულმა კოლმეურნეობათა გამსხვილებამ. გამსხვილების პროცესში, როგორც მოხსენებაში იყო აღნიშნული, გაუმჯობესდა ხელმძღვანელი საკოლმეურნეო კადრების შემადგენლობა, კიდევ უფრო გაძლიერდა კოლმეურნეობებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა.

ფართოდ ილაპარაკა რა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში მოპოვებულ წარმატებებზე, მომხსენებელმა დელეგატების ყურადღება გაამახვილა სამრეწველო საწარმოთა და კოლმეურნეობათა მუშაობის ნაკლოვანებებზე, რომლებიც მოწმობენ, რომ ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ ჯერ კიდევ სათანადო დასკვნა ვერ გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილისა და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებიდან, მუშაობა ვერ აიყვანა ახალ მოთხოვნათა დონემდე.

მრეწველობის დარგში მუშაობის სერიოზული ნაკლია, როგორც ეს მოხსენებაში იყო აღნიშნული, ის, რომ ყველა საწარმო ვერ ასრულებს გეგმას. განსაკუთრებით ცუდად მუშაობენ ამ მხრივ სუხუმის თევზის ქარხანა, ხორცკომბინატი, ლიმონათის ქარხანა, აფხაზეთის ღვინის კომბინატი, აფხაზეთის სარეწაო კავშირი. ასორტიმენტის მიხედვით გეგმის შესრულებაში ჩამორჩება ადგილობრივი მრეწველობისა და კვების მრეწველობის ზოგიერთი საწარმო.

სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ არ არის მიღწეული ისეთი მდგომარეობა, რომ ყველა კოლმეურნეობა ასრულებდეს ცალკეულ კულტურათა მოსავლიანობის გეგმას. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს მთლიანად აფხაზეთმა გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის თამბაქოს ჩაბარების გეგმა, 66 კოლმეურნეობამ ვერ შეძლო გეგმის შესრულება. თამბაქოს გეგმის შესრულება ჩამორჩენილია მიმდინარე წელს.

მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს აფხაზეთმა ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა 109,4 პროცენტით შეასრულა, მაინც დაბალია ჩაის ფოთლის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე. შარშან ჰექტარზე საშუალოდ 1.832 კილოგრამი ფოთოლი იქნა მიღებული. წელს აფხაზეთმა სახელმწიფოს უნდა ჩააბაროს 16.035 ტონა ჩაის ფოთოლი. 6 სექტემბრისათვის აფხაზეთში მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 11.430,6 ტონა ჩაის ფოთოლი, რაც წლიური გეგმის 71,6 პროცენტს შეადგენს.

ციტრუსები აფხაზეთის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია. ამ დარგს დიდი ზიანი მიაყენა 1949-1950 წლების მკაცრმა ზამთარმა. პლანტაციების აღსადგენად დიდი მუშაობაა გაწეული, მათი სრული აღდგენისათვის საჭიროა კიდევ დაირგოს 303 ჰექტარი ფორთოხალი, 3.514 ჰექტარი მანდარინი. ეს სამუშაო მომავალ წელს უნდა განხორციელდეს, და ამას რომ ხელი არ შეეშალოს, საჭიროა წელს მომზადდეს ნიადაგი. ხოლო ბევრი კოლმეურნეობა ჯერაც არ შესდგომია ამ სამუშაოს, პარტიული ორგანიზაციები კი ურიგდებიან ასეთ მდგომარეობას.

— სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღმავლობა, — ამბობს შემდეგ მომხსენებელი, — დამოკიდებულია სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების განუხრელად დაცვაზე. აფხაზეთის პარტიულმა ორგანიზაციამ წესდების დაცვისათვის ბრძოლაში თვალსაჩინო წარმატება მოიპოვა. კოლმეურნეობებს დაუბრუნდა მიტაცებული მიწები, პირუტყვი, პროდუქტები, დაფარულია დებიტორული დავალიანებანი. მაგრამ წესდების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლა ამით არ მთავრდება. ჩვენ ეს ბრძოლა კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ და სისტემატურად ვაწარმოოთ, ბოლომდე აღმოვფხვრათ წესდების დამახინჯებისა და ბოროტმოქმედებათა ფაქტები.

მომხსენებელმა მკაცრად გააკრიტიკა აფხაზეთის ასსრ ტექნიკური კულტურებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროები, რომლებიც ცუდად იბრძვიან სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დამახინჯების წინააღმდეგ. ცალკეულ შემთხვევებში ამ სამინისტროთა ზოგიერთი მუშაკი უკანონო განკარგულებით ხელსაც კი უწყობს წესდების დარღვევას.

მოხსენების დიდი ნაწილი დათმობილი ჰქონდა შინაპარტიული ცხოვრების საკითხების გაშუქებას.

— პარტიის საოლქო კომიტეტი, — თქვა მომხსენებელმა, — განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა და აქცევს შინაპარტიული მუშაობის საკითხებს. ეს გასაგებიც არის. ამ მუშაობის დონეზე, მის გაქანებასა და შინაარსზე არის დამოკიდებული საქმის წარმატება სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს სხდომებზე სისტემატურად ხდებოდა შინაპარტიული მუშაობის საკითხების განხილვა. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში საოლქო კომიტეტის მთელი რიგი პლენუმები მიეძღვნა პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხების განხილვას. ხშირად ეწყობა ბიუროს სხდომებზე პარტიის რაიონული კომიტეტების ანგარიშის მოსმენა. საოლქო კომიტეტი სისტემატურად ამოწმებდა თავის დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობას. ყოველივე ამან ხელი შეუწყო შინაპარტიული მუშაობის დონის საგრძნობ ამაღლებას.

მაგრამ შინაპარტიული მუშაობის დაყენებაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი, რასაც ნაწილობრივ ის იწვევს, რომ ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში შექმნილი არ არის პირველადი პარტიული ორგანიზაცია.

მართალია აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციის რიგების ზრდა საერთოდ დამაკმაყოფილებელია, მაგრამ პარტიული მუშაობის ამ უბანს საკმაო ყურადღებას არ აქცევდნენ გაგრისა და სუხუმის რაიონული პარტიული ორგანიზაციები. ყველგან სათანადოდ არ მუშაობენ ახალგაზრდა კომუნისტებთან, პარტიის წევრობის კანდიდატებთან, ამის შედეგად აფხაზეთის პარტიულ ორგანიზაციაში ბევრია სტაჟგადაცილებული კანდიდატი.

საანგარიშო პერიოდში პარტიის საოლქო კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კადრების მარქსისტულ-ლენინური განათლების, მასების კომუნისტური აღზრდის საკითხებს. ამის შედეგად მეტ წილ პოლიტსკოლებსა და წრეებში მეცადინეობა მაღალ იდეურ დონეზე ეწყობოდა. მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელ ამხანაგებს სერიოზულ დახმარებას უწევდნენ კონსულტანტები.

პარტიული სწავლების დაყენებაში მაინც იყო სერიოზული ნაკლოვანებანი. იმის გამო, რომ გუდაუთისა და ოჩამჩირის რაიონების პარტიული ორგანიზაციები კომუნისტების პოლიტიკური განათლების საქმეს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდნენ, სერიოზულ ნაკლოვანებებს ჰქონდა ადგილი ამ რაიონთა პოლიტსკოლებისა და წრეების მუშაობაში, თვითგანათლების საქმის დაყენებაში.

სარგებლობდნენ რა პარტიული ორგანიზაციების მხრივ უკონტროლობით, ცალკეულმა კომუნისტებმა, მათ შორის ხელმძღვანელმა მუშაკებმაც, რომლებიც თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელებად ითვლებოდნენ, სავსებით შეწყვიტეს მუშაობა საკუთარი იდეური დონის ამაღლებისათვის. ასე მოიქცნენ, მაგალითად გულრიფშის რაიონის პროკურორი ი. იოსავა და სამხედრო კომისარი შ. თიგიშვილი, სახელმწიფო ბანკის ოჩამჩირის განყოფილების მმართველი ა. რატიანი, აფხაზეთის ასსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოადგილე გ. ბჟალავა, ოჩამჩირის რაიონის მეორე უბნის სახალხო მოსამართლე ი. გიორგობიანი და სხვები.

მომხსენებელი ლაპარაკობს სამეცნიერო დაწესებულებათა საქმიანობაზე და ზოგიერთი მათგანის მუშაობის ნაკლად ასახელებს მოწყვეტას სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკისაგან, თემატიკის შეზღუდულობას. მაგალითად, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის მუშაობა მოწყვეტილია პრაქტიკას, ხოლო სამეცნიერო ნაშრომთა მთელი თემატიკა, მცირე გამონაკლისის გარდა, შედგება განყენებული თემებისაგან, რომლებიც თითქმის არ არიან დაკავშირებულნი კომუნისტური მშენებლობის ამოცანებთან. ინსტიტუტში ცუდად დგას მუშაობა ახალგაზრდა მეცნიერულ კადრებთან.

კრიტიკა და თვითკრიტიკა ჩვენი საზოგადოების წინსვლის მძლავრი იარაღია. პარტიის წევრს ევალება ავითარებდეს თვითკრიტიკას და კრიტიკას ქვემოდან, ავლინებდეს ნაკლოვანებებს მუშაობაში და იბრძოდეს მათი აღმოფხვრისათვის. მიუხედავად ამისა, — ამბობს მომხსენებელი,—ყველა ამხანაგს, მათ შორის ხელმძღვანელ მუშაკებსაც კი არ ესმით კრიტიკისა და თვითკრიტიკის მთელი მნიშვნელობა.

ამხ. გეთიას მოჰყავს კრიტიკის ჩახშობის კონკრეტული ფაქტები და ამბობს, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა კრიტიკის ჩახშობის ცდებს მკაცრი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ, ხოლო ყოველი მუშაკი, რომელიც შეეცდება ჩაახშოს ქვემოდან მომდინარე კრიტიკა, სასტიკად უნდა დაისაჯოს.

შემტევი პოლიტიკური სიფხიზლის ამაღლება წარმოადგენს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა, ამხანაგ სტალინის მითითებათა საფუძველზე ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულების უეჭველ პირობას. პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან ყოველდღიურად აღზარდონ კომუნისტებში, კომკავშირელებში შემტევი ბოლშევიკური სიფხიზლე.

პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა, ამბობს დასასრულ მომხსენებელი, უნარიანად წარმართონ პარტიის XIX ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით გამოწვეული მშრომელთა მძლავრი საწარმოო და პოლიტიკური აქტივობა და მიაღწიონ ყველა დარგში დავალებათა წარმატებით შესრულებას.

ჩვენი ამოცანაა გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობანი, ის მზრუნველობა და დახმარება, რასაც გვიწევენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, პირადად ამხანაგი სტალინი, და აფხაზეთი გადავაქციოთ საბჭოთა საქართველოს კიდევ უფრო აყვავებულ მხარედ.

* * *

მოხსენების გამო გაიმართა გაცხოველებული კამათი.

საქართველოს კ. პ. (ბ) სუხუმის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. თ. ოდიშარიამ კონფერენციის მონაწილეებს მოუთხრო იმ უდიდესი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობის შესახებ, რაც სუხუმის მშრომელთა შორის გამოიწვია ცნობამ პარტიის XIX ყრილობის მოწვევის შესახებ და საყრილობო მასალების განხილვამ.

სუხუმის მშრომელები, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ მრეწველობისა და ტრანსპორტის შემდგომი განვითარების, კულტურული მშენებლობისა და ქალაქის კეთილმოწყობის საქმეში. მშრომელთა თავდადებული მუშაობის, პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული საქმიანობის გაძლიერების შედეგია ის, რომ ქალაქის მრეწველობამ მიმდინარე წლის 8 თვის გეგმა 106,6 პროცენტით შეასრულა და გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით საერთო პროდუქციის გამოშვება 3,1 პროცენტით გაზარდა.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა წარმატებანი საქალაქო მეურნეობის განვითარებისა და ქალაქის კეთილმოწყობის დარგში. საანგარიშო პერიოდში დამთავრდა სუხუმის მშრომელთა სიამაყის—სტალინის სახელობის მთის მშენებლობა, სუხუმის რკინიგზის კეთილმოწყობილი სადგურის მშენებლობა, თბილისის გზატკეცილის რეკონსტრუქცია და სხვ.

მიუხედავად სერიოზული წარმატებებისა, ამბობს ამხ. ოდიშარია, ჯერ კიდევ გვაქვს ნაკლოვანებანი. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტმა ვერ უზრუნველყო ყველა პირველადი პარტიული ორგანიზაციისადმი ოპერატიული ხელმძღვანელობა. არიან ისეთი პარტიული ორგანიზაციები, რომლებსაც უნარი არ შესწევთ სწორად შეახამონ პარტიული და სამეურნეო მუშაობა, ვერ იყენებენ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას. ამითაც აიხსნება, რომ სუხუმის საწარმოთა ერთი ნაწილი ვერ ასრულებს გეგმას.

შინაპარტიული მუშაობის საკითხებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის ბერიას სახელობის შახტის პარტბიუროს მდივანმა ამხ. ბ. ლაგვილავამ. ეს შახტი წინათ ჩამორჩენილი იყო. პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროზე შახტის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის განხილვა, საოლქო კომიტეტის მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელება დაეხმარა პარტბიუროს გარდაექმნა თავისი საქმიანობა, გაეუმჯობესებინა პოლიტიკური მუშაობა მეშახტეთა შორის. შინაპარტიული მუშაობის გაძლიერებამ ხელი შეუწყო მეშახტეებს დაეძლიათ ჩამორჩენა. ახლა ბერიას სახელობის შახტი მოწინავეა ტყვარჩელში.

ილაპარაკა რა შინაპარტიული მუშაობის ზოგიერთ ნაკლზე, ამხ. ლაგვილავამ უსაყვედურა პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტს პირველადი ორგანიზაციებისადმი არაკონკრეტული ხელმძღვანელობა.

აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრმა ამხ. ს. სიგუამ პარტიულ კომიტეტებს უსაყვედურა სოფლად სკოლების ქსელის გაფართოების საკითხისადმი უყურადღებობა. აფხაზეთის ნოყიერი მიწები იზიდავს საქართველოს მთიანი რაიონების მშრომელ გლეხობას,—თქვა ამხ. სიგუამ, — ახალმოსახლეთათვის შენდება დაბები, მაგრამ საკმაო რაოდენობით არ შენდება სკოლები. პარტიის რაიონული კომიტეტები ურიგდებიან ამ მდგომარეობას და არ ზრუნავენ სასკოლო მშენებლობის ფართოდ გაშლისათვის.

მოხსენებაში მკაცრად იყო გაკრიტიკებული პარტიის სუხუმის რაიკომი, რომლის მუშაკები ზოგჯერ ვერ იჩენენ პარტიული მუშაობის საკითხების ცოდნას. პარტიის სუხუმის რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. კვიკვინიამ კი თითქმის მთელი თავისი გამოსვლა სამეურნეო საკითხების გაშუქებას მიუძღვნა.

მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის დარგში არსებული ნაკლოვანებანი, რაზეც ვრცლად იყო ლაპარაკი საანგარიშო მოხსენებაში, იმის შედეგიც არის, რომ სათანადო სამინისტროები სუსტად მუშაობენ. აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის, ტექნიკური კულტურებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრებმა ამხ. მ. ბებიამ, გ. ბერულავამ და შ. გოგოხიამ, რომლებიც კამათში გამოვიდნენ, არსებითად არაფერი თქვეს სამინისტროების აპარატის მუშაობაზე.

გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. გ. არძინბამ კონფერენციის მონაწილეებს მოუთხრო იმის შესახებ, თუ როგორ აღწევს კოლმეურნეობა წარმატებებს. ამ წარმატებათა ძირითად პირობად მან დაასახელა პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის გაძლიერება კოლმეურნეობაში. პარტიული ორგანიზაცია ღრმად სწვდება საკოლმეურნეო ეკონომიკის საკითხებს, ფართოდ აჩაღებს კრიტიკასა და თვითკრიტიკას. შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. კოლმეურნეობის წარმატებას ისიც უწყობს ხელს, რომ საკოლმეურნეო წარმოების გადამწყვეტ უბნებზე სწორად არიან განაწილებული კომუნისტები, რომლებიც მთელი პასუხისმგებლობით მუშაობენ.

ამხ. არძინბამ პარტიული ორგანიზაციის მუშაობის ერთ-ერთ სერიოზულ ნაკლად დაასახელა ის, რომ იგი ჯერ კიდევ ფართოდ ვერ აწყობს მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებას.

პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის მდივნის ამხ. ვ. ჯიქიას სიტყვა ძირითადად მიძღვნილი იყო საქალაქო კომიტეტისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკის გაშუქებისადმი. მან გააკრიტიკა საოლქო გაზეთები, რომლებიც არასაკმაოდ აშუქებენ მეშახტეთა ცხოვრებას, შახტების პარტიული ორგანიზაციების მუშაობას და გამოქვეყნებულ მასალებში ზოგჯერ არ იცავენ სიზუსტეს.

პარტიის გულრიფშის რაიკომის მდივანმა ამხ. ო. დავითაიამ თავისი გამოსვლა მთლიანად პარტიული მუშაობის საკითხებს მიუძღვნა, ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ ამაღლდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული როლი, შინაპარტიული მუშაობის დონე. პირველადი პარტიული ორგანიზაციები უკეთესად იმუშავებდნენ, თქვა ამხ. დავითაიამ, რომ პარტიის რაიკომს ყველა ორგანიზაციასთან უფრო სისტემატური და ცოცხალი კავშირი ჰქონოდა.

გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის" რედაქტორმა ამხ. გ. კვირტიამ გააკრიტიკა აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის მინისტრი ამხ. მ. ბებია და გულრიფშის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. კაჭარავა, რომლებიც ხშირად ბიუროკრატიულად ეკიდებიან გაზეთში გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილებს.

საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის განყოფილების პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. ი. თარბამ ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ ასწორებენ აფხაზეთის მწერლები თავიანთი შემოქმედებითი მუშაობის ნაკლოვანებებს. მაგრამ აფხაზეთის მწერლები, თქვა მან, ჯერ კიდევ ვერ უპასუხებენ მკითხველთა გაზრდილ მოთხოვნილებებს.

კონფერენციის დელეგატებმა ყურადღებით მოისმინეს ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის ნოვატორის, საპატიო მეშახტის ნ. ხაჭიპერაძის სიტყვა.

— ტყვარჩელელი მეშახტეები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, — თქვა მან, — დღითიდღე აძლიერებენ ქვანახშირის ამოღების ტემპებს და სამშობლოს გეგმის გადამეტებით ასობით ტონა ქვანახშირს აძლევენ.

საანგარიშო მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს, მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნები გააკეთეს და საყურადღებო წინადადებანი წამოაყენეს აგრეთვე დელეგატებმა ამხ. ვ. მიგულინმა, ნ. მალიშევამა, გ. ვახაძემ, ორგზის სოციალისტური შრომის გმირმა პ. სვანიძემ, პ. გუჯაბიძემ, გ. ფილიამ, რ. ხიკუბამ და სხვებმა.

კონფერენციამ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო და მიიღო დადგენილება მომავალი მუშაობისათვის.

* * *

დღის წესრიგის მესამე საკითხად კონფერენციამ განიხილა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროექტი „პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ".

— მეხუთე ხუთწლიანი გეგმის პროექტი, — განაცხადა სუხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. ნ. ხურციძემ, — წარმოადგენს უდიდეს ისტორიულ დოკუმენტს, რომელშიც ასახულია ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლევამოსილი წინსვლა კომუნიზმისაკენ. დირექტივების პროექტი თვითეული საბჭოთა ადამიანის გულს სიხარულისა და სიამაყის გრძნობით ავსებს. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მხურვალედ ვიწონებ ახალი ხუთწლიანი გეგმის დირექტივების პროექტს და ამასთან ერთად მინდა ზოგიერთი შენიშვნა გავაკეთო:

ახალი ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული ტელევიზორების წარმოების გადიდების დონე, ვფიქრობ, ვერ დააკმაყოფილებს მშრომელთა გაზრდილ მოთხოვნილებას. ჩემი აზრით, საჭიროა ტელევიზორების წარმოება გადიდდეს 7-8-ჯერ მაინც.

დირექტივების პროექტში გათვალისწინებულია მრეწველობის დარგში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია. საჭიროა პროექტს დაემატოს ჩაის ფოთლის კრეფის მექანიზაცია. ეს მით უმეტეს აუცილებელია, რომ ახალ ხუთწლედში გათვალისწინებულია ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის წარმოების გადიდება დაახლოებით 75 პროცენტით.

— მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დირექტივების პროექტით, — ამბობს ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მმართველი ამხ. ა. ლაბახუა,—რომელშიც განსაზღვრულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობა, ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომი ამაღლება, გათვალისწინებულია დიდი სამშენებლო სამუშაოები ქვანახშირის მრეწველობის ხაზით.

დირექტივების პროექტში გათვალისწინებულია ქვანახშირის მოპოვების ყველაზე უფრო შრომატევადი პროცესების მექანიზაცია და ლავების გამაგრების მექანიზებულ საშუალებათა ფართოდ დანერგვა. ამხ. ლაბახუას საჭიროდ მიაჩნია: 1. დირექტივების პროექტში განსაკუთრებით გაესვას ხაზი შახტში შესასრულებელ შრომატევად დამხმარე სამუშაოთა მექანიზაციას, რათა გაადვილდეს გამონამუშევართა ჭერის მართვა (ლავების დაჯენა და ამოვსება), სამაგრი ხე-ტყის შეზიდვა, მეშახტის სამუშაო ადგილის მოწყობა; 2. გათვალისწინებულ იქნას აგრეთვე შახტის ზედაპირზე საწარმოო პროცესების სრული კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია. იგი მოითხოვს ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის საბინაო მშენებლობის საჭიროებისათვის გათვალისწინებული თანხების სულ ცოტა 25 მილიონამდე გადიდებას და მეშახტეთა შვილებისათვის ქალაქ სუხუმში მუდმივმოქმედი ბავშვთა სანატორიუმის აგებას.

— ლენინ-სტალინის პარტია და საბჭოთა მთავრობა, პირადად ამხანაგი სტალინი დიდ ყურადღებას აქცევენ ახალი ტექნიკის დანერგვას როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში,—ამბობს პარტიის გუდაუთის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. ჯიქია.—ჩემი აზრით საჭირო იქნება, გათვალისწინებულ იქნას თამბაქოს წარმოებაში მექანიზაციის დანერგვა, რაც დიდად შეუწყობს ხელს როგორც თამბაქოს მოსავლიანობის ზრდას, ისე თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნებში შრომის ნაყოფიერების ამაღლებას.

სუხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორმა და მთავარმა რეჟისორმა ამხ. ს. ჭელიძემ წამოაყენა წინადადება ქალაქ სუხუმში ხელოვნების მუშაკთა საცხოვრებელი სახლისა და ხელოვნების მუშაკთა კლუბის აშენების შესახებ.

კონფერენციამ ერთსულოვნად მოიწონა სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის პროექტი და დაავალა პარტიის საოლქო კომიტეტს ზემდგომ პარტიული ორგანოების წინაშე დააყენოს კონფერენციის დელეგატების მიერ გამოთქმული შენიშვნები და წინადადებანი.

დელეგატებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს დღის წესრიგის მეოთხე საკითხის განხილვაში.

— პარტიის შეცვლილი წესდების პროექტი,—თქვა სუხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანმა ამხ. ლ. რიგვავამ, — თვითეულ კომუნისტს ავალებს მკაცრად დაიცვას პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინა, აქტიურად იბრძოლოს კომუნიზმის გამარჯვებისათვის, იყოს პოლიტიკურად ფხიზელი, გულმართალი, პატიოსანი. პარტიის შეცვლილი წესდების პროექტს სავსებით ვიწონებ, ამასთან საჭიროდ მიმაჩნია წესდების პროექტის მე-2 მუხლის ფორმულირება, სადაც ნათქვამია, რომ „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი შეიძლება იყოს ყოველი მშრომელი, საბჭოთა კავშირის მოქალაქე, რომელიც ექსპლოატაციას არ უწევს სხვის შრომას", შეიცვალოს შემდეგი ფორმულირებით—„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი შეიძლება იყოს ყოველი მშრომელი, საბჭოთა კავშირის მოქალაქე, რომელიც ეწევა საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისათვის". საჭიროდ მიმაჩნია აგრეთვე წესდებაში სპეციალური მუხლით განისაზღვროს უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებების პირველადი პარტიული ორგანიზაციების უფლება-მოვალეობანი.

ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის პარტბიუროს მდივანმა ამხ. შ. ნარმანიამ მოითხოვა წესდების პროექტს იმ ადგილას, სადაც განმარტებულია პარტიის წევრის მოვალეობანი, დაემატოს ახალი პუნქტი შემდეგი რედაქციით: „პარტიის წევრი მოვალეა იყოს სამაგალითო ოჯახსა და ყოფაცხოვრებაში, ყველგან და ყოველთვის წმიდად იცავდეს კომუნისტური მორალის პრინციპებს, სოციალისტური თანაცხოვრების წესებს. კომუნისტის ამორალური ქცევა შეუთავსებელია პარტიის რიგებში ყოფნასთან".

პარტიის შეცვლილი წესდების პროექტის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე პარტიის გაგრის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. ურიდიამ და სხვებმა.

კონფერენციამ მხურვალედ მოიწონა პარტიის შეცვლილი წესდების პროექტი და დაავალა პარტიის საოლქო კომიტეტს წესდების პროექტის გარშემო დელეგატების მიერ გამოთქმული შენიშვნები და წინადადებანი აცნობოს პარტიის ზემდგომ ორგანოებს.

კონფერენციამ აირჩია საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა და საქართველოს კ. პ. (ბ) XV ყრილობის დელეგატები.

კონფერენციამ საქართველოს კ. პ. (ბ) XV ყრილობის დელეგატად უდიდესი აღფრთოვანებით აირჩია ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი მშობლიური სტალინი. ყრილობის დელეგატებად არჩეული არიან ამხანაგ სტალინის უახლოესი თანამებრძოლები ვ. მ. მოლოტოვი, გ. მ. მალენკოვი, ლ. პ. ბერია, აგრეთვე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ა. მგელაძე.

კონფერენციის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ხალხთა ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის, მშვიდობის დიდი მედროშის ამხანაგ სტალინისადმი.

მისალმებანი გაეგზავნა ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეებს, დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლებს ამხანაგებს ვ. მ. მოლოტოვს, გ. მ. მალენკოვს, ლ. პ. ბერიას.

საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი

8 სექტემბერს გაიმართა საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. **შ. გეთია**.

საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად არჩეულია ამხ. **ა. ქანდარია**, საოლქო კომიტეტის მდივნად—ამხ. **ნ. ჯახუა**.

საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრებად არჩეული არიან ამხანაგები **შ. გეთია, მ. დელბა, ა. ქოჭუა, ა. ქანდარია, ნ. ჯახუა, ი. ტუსკაძე, თ. ოდიშარია, ვ. თოფურია, გ. ნაჭყებია**, ბიუროს წევრობის კანდიდატებად — **გ. ჭაჭია და გ. სემიონოვი**.

აფხაზეთის საოლქო პარტიული კონფერენციისა და საოლქო კომიტეტის პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ამხ. **ვ. ბაქრაძემ**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლუციის რაინდი

★ ფ. ე. ძერჟინსკის დაბადების 75-ე წლისთავის გამო ★

გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის მშრომელები დღეს აღნიშნავენ ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის, ლენინისა და სტალინის ერთგული თანამებრძოლის ფელიქს ედმუნდის-ძე ძერჟინსკის დაბადების 75-ე წლისთავს.

ფ. ე. ძერჟინსკი ჯერ კიდევ ბავში გაეცნო და დაეწაფა მარქსისტულ ლიტერატურას. 18 წლისა იგი შევიდა ლიტვის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. 1897 წელს პარტიამ ძერჟინსკი, როგორც უკვე ჩამოყალიბებული რევოლუციონერი, სამუშაოდ გაგზავნა კაუნასში. იქ ძერჟინსკი შეიპყრეს და გადაასახლეს ვიატკის გუბერნიაში, საიდანაც იგი მალე გამოიპარა.

ფ. ე. ძერჟინსკი რევოლუციისათვის იყო დაბადებული. მან არ იცოდა შიში და სასოწარკვეთილება, გაბედულად ხვდებოდა ყოველგვარ სიძნელეს. თერთმეტ წელზე მეტი დრო დაჰყო ძერჟინსკიმ კატორღასა, გადასახლებასა თუ ციხეში, მაგრამ იგი სულით არ დაცემულა. რწმენით იცქირებოდა წინ და ჭვრეტდა დიად მომავალს.

რეაქციის მძვინვარების პერიოდში მეფის ჯალათების მიერ შეპყრობილი ფ. ე. ძერჟინსკი თავის დღიურში წერდა: „მე ვხედავ უკვე ამოძრავებულ უდიდეს მასებს, რომლებიც ძველ წყობილებას არყევენ,—მასებს, რომელთა წრეში მზადდება ახალი ძალები ახალი ბრძოლისათვის... მე ვამაყობ იმით, რომ მათთან ვარ, რომ მათ ვხედავ, ვგრძნობ, მესმის მათი და რომ თვითონ მე ბევრი ტანჯვა განვიცადე მათთან ერთად. აქ, საპყრობილეში, ხშირად გიჭირს, ზოგჯერ საშინელებაც არის... და, მიუხედავად ამისა, მე რომ ხელახლა დამეწყო ცხოვრება, დავიწყებდი სწორედ ისე, როგორც დავიწყე“.

უშიშარი რევოლუციონერი აღფრთოვანებული იყო ლენინისა და სტალინის მაგალითით, რომელთაც ის პირადად 1906 წელს გაეცნო სტოკჰოლმის გამაერთიანებელ ყრილობაზე.

მუშათა რევოლუციური მოძრაობის ახალი აღმავლობის პერიოდში 1912 წელს მეფის მთავრობამ შეიპყრო ამხ. ფ. ძერჟინსკი და მას ხანგრძლივი პატიმრობა მიუსაჯა. იგი საპყრობილიდან განთავისუფლდა 1917 წელს.

პარტიის VI ყრილობაზე ფ. ე. ძერჟინსკი არჩეულ იქნა ცენტრალური კომიტეტის წევრად. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებასა და გამარჯვებაში. სტალინის ხელმძღვანელობით მონაწილეობდა შეიარაღებული აჯანყების მომწყობი პარტიული ცენტრის მუშაობაში. რევოლუციის ბობოქარ დღეებში პროლეტარიატისა და პარტიის წინაშე დამსახურებისათვის დიდმა სტალინმა ძერჟინსკის „ოქტომბრის გმირი“ უწოდა.

რევოლუციის გამარჯვების შემდეგ პარტია ძერჟინსკის გაბედულად ანდობდა ყველაზე რთულ უბნებს. 1917 წლის დეკემბერში ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად შეიქმნა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია (ვჩკ), რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ძერჟინსკი. კონტრრევოლუციის, საბოტაჟის, ძირგამომთხრელი საქმიანობის წინააღმდეგ ბრძოლა უაღრესად დიდი და რთული ამოცანა იყო. ძერჟინსკი ყოველთვის დაუნდობლად ანადგურებდა კლასობრივ მტრებს. „ბურჟუაზიის არავინ არ სძულდა ისე, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — როგორც ძერჟინსკი, რომელიც ფოლადის ხელით იგერიებდა პროლეტარული რევოლუციის მტრების დარტყმებს. „რისხვა ბურჟუაზიისათვის“ — ასე უწოდებდნენ მაშინ ამხ. ფელიქს ძერჟინსკის“.

სამოქალაქო ომის მძიმე დღეებში, როცა პოლონელმა რეაქციონერებმა ხელში ჩაიგდეს კიევი, ძერჟინსკი ხელმძღვანელობდა სამხრეთ-დასავლეთი ფრონტის ზურგის მუშაობას, დაუნდობლად მუსრავდა პეტლიურას და მახნოს ბანდიტურ ჯგუფებს.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ პარტიამ ძერჟინსკის დაავალა ზრუნვა დანგრეული ტრანსპორტის აღდგენისათვის, ისე რომ იგი რჩებოდა საგანგებო კომისიის ხელმძღვანელის პოსტზე. 1924 წელს ამხანაგ სტალინის წინადადებით ძერჟინსკი დაინიშნა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ.

საბჭოთა ხალხის მტრები: ტროცკისტები, ზინოვიეველები, ყველა ჯურის გამცემლები ფარულად და აშკარად იბრძოდნენ პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ, ცდილობდნენ სწორი გზიდან აეცდინათ პარტია და მოეხდინათ ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის რესტავრაცია. ამხ. ძერჟინსკი დიდი სტალინის ხელმძღვანელობით მთელი თავისი ენერგიით იბრძოდა სოციალისტური სამშობლოს მტრების წინააღმდეგ, არ ინდობდა ორგულებსა და თვალთმაქცებს.

ცნობილია, რომ 1925 წლის შემოდგომაზე, როცა ზინოვიევი და კამენევი გაბოროტებით თავს ესხმოდნენ პარტიასა და მის პოლიტიკას, ძერჟინსკიმ მათ მოღალატენი უწოდა. მაშინ ზინოვიევი და კამენევი ჯერ კიდევ არ იყვნენ სათანადოდ მხილებულნი. ისინი ოსტატურად ინიღბებოდნენ, მაგრამ გამჭრიახმა რევოლუციონერმა გამოიცნო მათი მისწრაფება და ხალხის მტრებს ნამდვილი სახელი უწოდა.

ძერჟინსკი მხარს უჭერდა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სტალინურ პოლიტიკას. მან იცოდა, რომ მძიმე ინდუსტრიის განუვითარებლად შეუძლებელი იყო ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფა, სახალხო მეურნეობის სწრაფი აღმავლობა, ქალაქისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტურ მეურნეობად გარდაქმნა.

დიდი სახელმწიფო მოღვაწე ისეთივე გატაცებითა და ენთუზიაზმით აშენებდა ახალს, როგორი გატაცებითაც ანგრევდა ძველს. მან არ იცოდა დაღლა და ბეჯით შრომას მოითხოვდა სხვებისგანაც. ვერ ითმენდა ზარმაცებსა და უქნარებს, დანაშაულს არავის არ აპატიებდა. უაღრესად გულისხმიერი იყო კეთილსინდისიერი მუშაკებისადმი.

ფ. ე. ძერჟინსკი მთელი თავისი არსებით, გმირულად იბრძოდა პროლეტარიატის ინტერესების დასაცავად, იბრძოდა კომუნიზმის გამარჯვებისათვის და ამ ბრძოლაში იგი სახელოვნად დაიფერფლა. 1926 წლის 20 ივლისს საბრძოლო პოსტზე მოულოდნელად შეწყდა მისი გულისცემა.

ფ. ე. ძერჟინსკის დაბადების 75-ე წლისთავს საბჭოთა ხალხი აღნიშნავს ლენინ-სტალინის პარტიის XIX ყრილობისათვის მზადების დაუვიწყარ დღეებში, როცა მთელს ჩვენს ქვეყანაში, სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე, ქალაქად და სოფლად ყველგან იგრძნობა უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა. ამხ. ძერჟინსკის მჩქეფარე სიცოცხლე მუდამ დარჩება ხალხთა ხსოვნაში, როგორც მშრომელთა ინტერესებისა და კომუნიზმისათვის ბრძოლის მაგალითი, სოციალისტური სამშობლოს უმწიკვლო სიყვარულისა და რევოლუციური სიფხიზლის მაგალითი.

წყალტუბოს რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ვ. ვარდანიძემ 105 პროცენტით შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. იგი ჩაება პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვალდებულება იკისრა დამატებით მოკრიფოს 500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. სურათზე: სტახანოველი ვარდანიძე ჩაის კრეფაზე.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

გეგმის გადამეტებით

ზუგდიდი. (საკ. კორ.). მშრომელები პარტიის XIX ყრილობისათვის სოციალისტურ სამშობლოს ახალ საჩუქრებს უმზადებენ. სოფელ ჭაქვინჯის კოლმეურნეობაში წინათ აღებული ვალდებულების გადამეტებით 40 ტონა ჩაის მოკრეფა იკისრეს. ამ ვალდებულების განაღდებისათვის მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს. მეხუთე ბრიგადაში (ბრიგადირი გერასიმე ჩუხუა) წლიური გეგმა ვადამდე გაანაღდეს და გეგმის გადამეტებით 15 ტონა ჩაის მოკრეფა გაითვალისწინეს.

შეჯიბრებაში დაწინაურდა სოციალისტური შრომის გმირი ოლია ჩუხუა, რომელმაც მისავლელად მიჩენილ ნახევარ ჰექტარზე უკვე 4.800 კილოგრამი ფოთოლი მოკრიფა, რაც წლიური გეგმის 160 პროცენტს შეადგენს. მისი ვალდებულებაა ყრილობის გახსნის დღისათვის გეგმა 200 პროცენტით შეასრულოს, ხოლო სეზონში ქვეყანას მისცეს სულ ცოტა 7 ტონა ჩაი.

წლიური გეგმა 120-130 პროცენტით აქვთ შესრულებული მეჩაიეებს ქ. ჯიქიას, ლ. ჩარგაზიას, ვ. ჯიქიას, ვ. ხუბულავას და ბევრს სხვას.

წლიური გეგმა 111,7 პროცენტით აქვს შესრულებული ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ზუგდიდის ფილიალს (დირექტორი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. დგებუაძე). მეჩაიეები მუშაობენ იმისათვის, რომ გეგმის გადამეტებით მისცენ ქვეყანას 30 ტონა ჩაი.

ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატის მუშაკები იმისათვის იბრძვიან, რომ მესამე კვარტალის დავალება 25 სექტემბრისათვის გაანაღდონ, 5 ოქტომბრისათვის გეგმის გადამეტებით მისცენ სოციალისტურ სამშობლოს 50 ტონა მაღალხარისხოვანი ქაღალდი, 50 ათასი ცალი რვეული, 33 ტონა ცელულოზა, საგრძნობი რაოდენობით დაზოგონ ელექტროენერგია და საწვავი. გადიდებული ვალდებულებების განაღდებისათვის იბრძვიან ზუგდიდის საკონსერვო ქარხანაში, ჩაის საწნეხ ფაბრიკაში.

გაუსწორებელი ცილისმწამებელი

ცილისწამება ძველი ყოფის გადმონაშთია და დიდ ბოროტებას წარმოადგენს. იგი არის პარტიული მორალის დარღვევა და შეუთავსებელია პარტიის რიგებში ყოფნასთან.

მიუხედავად იმისა, რომ ცილისწამება, შარიანობა შეუთავსებელია ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების ბუნებასთან, ჩვენში ჯერ კიდევ არიან ცილისმწამებლები. მართალია, გამონაკლისის სახით, მაგრამ მაინც არიან. ისინი თავიანთი შარიანი, ცილისმწამებლური განცხადებებით, რომლებიც უფრო ხშირად ანონიმურია, ხელს უშლიან კეთილსინდისიერ მუშაკებს, რესპუბლიკის ბევრ ხელმძღვანელ ორგანოს ნაყოფიერ შრომაში.

ხშირად ხდება ისე, რომ მუშაკს სამუშაოდან ხსნიან სუსტი ხელმძღვანელობისათვის, სამსახურებრივი თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და სხვა დანაშაულობათა ჩადენისათვის. ნაცვლად იმისა, რომ პატიოსანი და გულწრფელი მუშაობით გამოისყიდოს თავისი დანაშაული პარტიის წინაშე, სამშობლოს წინაშე, ზოგიერთი ასეთი „მუშაკი“ იწყებს ხელმოუწერელი და ხელმოწერილი ცილისმწამებლური განცხადებების წერას ყველა მიმართულებით, ჩირქსა სცხებს პატიოსან ადამიანებს, ოღონდ კი მიაღწიოს ბრალდებისაგან თავის დაძვრენას ან კარიერას.

ერთი ასეთი შარისთავთაგანია ალექსანდრე ნესტორის-ძე ჩაგუნავაც. განათლებით იგი ინჟინერია, ხოლო პროფესიით... გაუსწორებელი და ბოროტი ცილისმწამებელი. ვინ იცის რამდენი ცილისმწამებლური განცხადება, ანონიმური წერილი და დაუსაბუთებელი „სიგნალი“ შეუთხზავს მას, ვინ მოთვლის რამდენი ადამიანისათვის მოუცხია ჩირქი, ვინ გაიგებს რამდენი შრომა და ფული დახარჯულა ჩაგუნავას შარიანი განცხადებების შემოწმება-გამორკვევაზე. უფრო მეტი „დამაჯერებლობისათვის“ ზოგიერთ ხელმოუწერელ ცილისმწამებლურ განცხადებას იგი გამოგონილ გვარს „ივანოვს“ აწერდა.

ჯერ კიდევ სტუდენტობაში გამოიჩინა თავი ჩაგუნავამ, როგორც ცილისმწამებელმა და შარიანმა. ინსტიტუტის პარტკომი, დეკანატი, პროფკომი, კომკავშირის კომიტეტი მისი ცილისმწამებლური განცხადებების შესწავლას უნდებოდნენ.

სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები ცდილობდნენ სწორ გზაზე დაეყენებინათ იგი, მაგრამ ამაოდ. ჩაგუნავა ნაკლებ ყურადღებას აქცევდა მეცნიერებათა დაუფლებას, ცოდნის გაღრმავებას, ხოლო სამაგიეროდ სულ უფრო მეტად იწაფებოდა ცილისმწამებლური „სიგნალების“ წერაში.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ რომელ დაწესებულებაშიც მოუხდა მუშაობა, ყველგან განცვიფრებას იწვევდა საინჟინრო საქმის წარმოუდგენელი უვიცობითა და ცილისმწამებლური განცხადებების ოსტატური შედგენით. ამის გამო სულ მოკლე ხანში რამდენიმე სამუშაო ადგილი გამოიცვალა. აგორებულ ქვასავით ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა. ხან ბათუმში იყო, ხან თბილისში, ხან კიდევ სამტრედიაში ან ტყიბულში.

და ყველგან, სადაც კი ჩაგუნავა გამოჩნდებოდა, მყისვე დაიწყებოდა საკუთარი ან გამოგონილი გვარით ხელმოწერილი და ხელმოუწერელი ცილისმწამებლური განცხადებების დენა, რასაც კვალდაკვალ მოჰყვებოდნენ სხვადასხვა კომისიები და გულისგამაწყალებელი კვლევა-ძიება.

მაგრამ რომელი კომისიის დასკვნა დაარწმუნებდა ჩაგუნავას, რომ იგი ცილისმწამებელი და შარისთავია. რაც უნდა მომხდარიყო, მისი აზრით იგი ყოველთვის ბატკანივით უცოდველი და მართალი იყო.

— პირშიმთქმელი, „კრიტიკის“ მოყვარული კაცი ვარ და ამიტომ მდევნიან!—უტიფრად არწმუნებდა ყველას ჩაგუნავა, და ერთი დაწესებულებიდან მეორეში აფარებდა თავს.

„კავტრანსპროექტიდან“ გაძევებული ჩაგუნავა საქართველოს მრავალ ქალაქს ესტუმრა და მრავალი სამუშაო გამოიცვალა, მაგრამ შარიანი, დაუსაბუთებელი „კრიტიკული“ წერილებისა და „სიგნალების“ წერა ვერ მოიშალა. ამ „სიგნალების“ მიხედვით, რომლებშიც ოტის ოდენა სიმართლე არ იყო, ყველასათვის აშკარა ხდებოდა, რომ ჩაგუნავა სავსებით უვიცი ინჟინერი და გაუსწორებელი შარისთავია. ხშირად საქმე მთავრდებოდა მოკლე, მაგრამ მკაცრი ბრძანებით: „მოიხსნას სამუშაოდან, როგორც ტექნიკურად უცოდინარი“, „მოიხსნას თანამდებობიდან ცილისწამებისათვის“.

— მე მაგათ ვუჩვენებ, ვინცა ვარ!— გულზე ხელის ცემით იმუქრებოდა ჩაგუნავა სამუშაოდან ყოველი მოხსნისას და გამალებით წერდა ახალ „სიგნალებს“, რამდენიმე ცალად ამრავლებდა, ზედ სხვადასხვა „საბუთებს“ ურთავდა და თითქმის ყველა ხელმძღვანელ ორგანოს უგზავნიდა. იგი ერთი კალმის მოსმით „ანადგურებდა“ ყველას თავის ცილისმწამებლურ განცხადებებში, და პატიოსან ადამიანებს, რომლებიც ჩაგუნავას უვიცობასა და შარიანობაში ამხილებდნენ, ტალახში სვრიდა.

— ამხანაგო ჩაგუნავა,—ეუბნებოდნენ მას,—არ შეიძლება ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ლოზუნგის გაუხამსება, არ შეიძლება საქმიანი კრიტიკისა და შარის ერთმანეთში არევა. თუ ასე განაგრძეთ, სასტიკად დაისჯებით.

მაგრამ ასეთი გაფრთხილება მასზე გავლენას არ ახდენდა, და ის ძველებურადვე ისევ შარიან „კრიტიკოსად“ და ცილისმწამებელ ჩაგუნავად რჩებოდა.

ბევრი ქალაქისა და სამუშაოს გამოცვლის შემდეგ იგი დაინიშნა უფროს ინსპექტორად ტყიბულში მშენებლობაზე.

ფორმალურად იგი ტყიბულში ითვლებოდა სამუშაოზე და, როგორც შემკვეთთა ჯგუფის უფროსი ინსპექტორი, ყოველთვიურად 1.800 მანეთზე მეტს იღებდა, ფაქტიურად კი თბილისში იჯდა შემკვეთთა ჯგუფის აპარატში და იქ უფროსი ინჟინრის მოვალეობას ასრულებდა, რისთვისაც თვეში 980 მანეთზე მეტი არ ეკუთვნოდა. მაგრამ შარისთავი აბა რის შარისთავია, თუ სულ ახალი სადავო და საკინკლაო საქმე არ გაიჩინა. მან შემკვეთთა ჯგუფს უჩივლა: ტყიბულიდან თბილისში მივლინების თანხა მერგებაო. ეს თანხა 2.800 მანეთზე მეტს შეადგენდა, მაგრამ სახალხო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მისი უსაფუძვლო საჩივარი.

მშენებლობას მოწყვეტილი, თბილისში უსაქმურად მყოფი ჩაგუნავა საქმის კურსში არ იყო. წარმოდგენაც კი არა ჰქონდა იმაზე, თუ რა ხდებოდა მშენებლობაზე. მიუხედავად ამისა, იგი ქედმაღლურად ექცეოდა მშენებლებს, ყოველ ნაბიჯზე ეჭვის ქვეშ აყენებდა მათს ნამუშევარს. ბრალს სდებდა მუშაკებს მიწერებში, თვალისახვევის ცდებში, ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოთა გადიდებაში. ლაყბობდა და პროვოკაციულ ხმებს ავრცელებდა. მარტო 1950 და 1951 წლებში მშენებლებს ჩაგუნავამ სამჯერ დასწამა ცილი მიწერებში და შესრულებულ სამუშაოთა შესამოწმებლად კომისიების გამოყოფა მოითხოვა.

მოსკოვიდან და რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოებიდან სამჯერ ჩამოვიდა კომისია მშენებლობაზე და გულდასმით შეამოწმა საქმის მდგომარეობა. არავითარი მიწერა, სახელმწიფოს მოტყუების ცდის არც ერთი ფაქტი! კომისიამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ჩაგუნავას უვიცობა და შარისთავობა.

საინტერესოა მშენებლობის პარტბიუროს მდივნის ამხ. ზ. ოდაძის განმარტება. იგი წერს: ჩაგუნავა ტყიბულში ხშირად არ იმყოფებოდა. მშენებლობაზე მხოლოდ თვის ბოლოს გამოჩნდებოდა შესრულებულ სამუშაოთა „შესამოწმებლად“ და აქტის მისაღებად. იმის გამო, რომ სამშენებლო სამუშაოთა მიმდინარეობის კურსში არ იყო, სამუშაოს ყოველ მიღებას ჩაგუნავა უპრინციპო დავად და კინკლაობად აქცევდა.

რეგულარულად არ ესწრებოდა პარტიულ კრებებს. მოწყვეტილი იყო პარტიულ ცხოვრებას. ოთხი თვის განმავლობაში საწევრო შესატანს თბილისიდან ტყიბულში ფოსტით გზავნიდა.

აი ასეთი სახით — ცხოვრებასა და პარტიულ საქმიანობას მოწყვეტილი, მოლაყბე და ცილისმწამებელი, უცოდინარი და უსაქმური, ქედმაღალი და პატივმოყვარე კაცის სახით—წარმოგვიდგება შარისთავი ჩაგუნავა. მისთვის არაფერს არ ნიშნავს ადამიანის ლაფში ამოსვრა და ჩირქის მოცხება, მას არ აწუხებს კომისიების ხშირი გამოყოფა და შარიანი განცხადებების შემოწმებაზე დროის ფუჭად დაკარგვა.

განაწყენებულმა ჩაგუნავამ განიზრახა ერთი კალმის მოსმით გაენადგურებინა და თავიდან მოეშორებინა მშენებლობის უფროსი, რისთვისაც გამალებით შეუდგა ცილისმწამებლური პროვოკაციული განცხადებების წერას. მშენებლობაზე დიდი გაფლანგვებია, სახელმწიფო ქონების მტაცებლებს მფარველობენ, მითვისებულია რამდენიმე ასეული ათასი მანეთი—ასეთი იყო ამ განცხადებების შინაარსი. სამწუხაროდ, აღრიცხული არ არის მის მიერ გაგზავნილი ყველა ხელმოწერილი და ხელმოუწერელი განცხადება, მაგრამ ის კი გამორკვეულია, რომ უკანასკნელ 6 თვეში მას 18 დიდი ცილისმწამებლური პროვოკაციული განცხადება აქვს დაწერილი. მარტო ერთი [illegible] რამდენიმე [illegible] შედგება [illegible] ტურებელი საბუთი, 70-ზე მეტი ბრძანებისა. და მრავალი სხვა დოკუმენტის ასლი არის დართული. გამორკვეულია, რომ ყველა ამ განცხადების შესწავლაზე იმუშავა 12 კომისია და უნაყოფოდ დაიკარგა სამასამდე კაცდღე. მარტო ერთი კომისია, რომელიც მოსკოვიდან იყო მოვლინებული, ორ კვირამდე დარჩა ადგილზე და მხოლოდ ის გააკეთა, რომ თავის დასკვნაში აღნიშნა, ფაქტები არ დადასტურდაო. სახელმწიფოს კი ამ კომისიის მუშაობა 15 ათას მანეთზე მეტი დაუჯდა.

უკანასკნელი კომისია ჯერ კიდევ ადგილიდან არ გამგზავრებულიყო, რომ ჩაგუნავამ უმაღლეს ორგანოებში ახალი განცხადებანი და „სიგნალები“ აფრინა. და აი მშენებლობას კიდევ ერთი ახალი კომისია ეწვია. მაგრამ რა გამოირკვა? ყველა ბრალდება, რომელიც წაყენებული ჰქონდა მშენებლებს, ბოროტი ცილისწამება და შარი აღმოჩნდა.

კომისიამ დაასკვნა: „ჩაგუნავა ვერ ერკვევა მშენებლობის საკითხებში, საინჟინრო-სამშენებლო საქმის უცოდინარია. იგი ქორიკანა, წამლეჯი და შარისთავია. ამის გამო კომისია შეუძლებლად თვლის მომავალში ჩაგუნავას შემკვეთთა ჯგუფში მუშაობას და მოითხოვს მის პასუხისგებაში მიცემას“.

ამრიგად, შარისთავი ერთხელ კიდევ გამოაძევეს სამუშაოდან.

— მაშ ასე!—ახლა კომისიას შეუტია ჩაგუნავამ,—მე თქვენ გიჩვენებთ, როგორ უნდა „კრიტიკის“ ჩახშობა.

და კვლავ გაიგზავნა ერთი ახალი განცხადება. მაგრამ ამ განცხადებას ახლა ჩაგუნავა კი არა, მისი ცოლისდა—ვალენტინა დენისოვა აწერდა ხელს. სწორედ ამაზეა ნათქვამი, მელამ თავისი კუდი დაიმოწმაო. აი როგორ აქებს და ადიდებს „კრიტიკისათვის“ თავგანწირულ სიძეს „მოუკრძებელი“ ცოლისდა:

„ჩაგუნავა ენერგიული, საქმიანი და ნებისყოფიანი კაცია. იგი ნამდვილი საბჭოთა სპეციალისტია და ღირსეულად ამართლებს საბჭოთა ხელისუფლების მზრუნველობას“.

მაგრამ შარისთავს ვერც ამ ახალმა ფანდმა უშველა. ჩაგუნავას ბინძური, ბნელი საქმეები, მისი შარისთავობა მხილებული და მზის სინათლეზეა გამოტანილი.

როგორც ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში ვწერდით, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა ა. ნ. ჩაგუნავას საკითხი და შემდეგი დადგენილება მიიღო: ცილისმწამებლური განცხადებების შეთხზვისა და გამოგონილი გვარის—„ივანოვის“ ხელმოწერით, აგრეთვე ხელმოუწერლად ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში მათი გაგზავნისათვის, ლაყბობისა და პროვოკაციული ხმების გავრცელებისათვის ა. ნ. ჩაგუნავა გაირიცხოს საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებიდან და მიცემულ იქნას სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

პარტია, ამხანაგი სტალინი გვასწავლიან, რომ ჩვენ ყოველგვარი თვითკრიტიკა როდი გვესაჭიროება. ჩვენ გვესაჭიროება ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა, ისეთი კრიტიკა, რომელიც მაღლა სწევს საბჭოთა ხალხის კულტურულობას, ავითარებს მის მებრძოლ სულს, განუმტკიცებს მას გამარჯვების რწმენას, ამრავლებს მის ძალებს.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის: ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის „მიზანია პარტიულობის დანერგვა, საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება, ჩვენი მშენებლობის გაუმჯობესება, ჩვენი სამეურნეო კადრების განმტკიცება, მუშათა კლასის შეიარაღება“.

პარტია მთელი ძალღონით, ყველა საშუალებით იბრძვის სხვაგვარი „კრიტიკის“ წინააღმდეგ, „რომელიც იწვევს პარტიულობის რღვევას, საბჭოთა ხელისუფლებისათვის სახელის გატეხას, ჩვენი მშენებლობის შესუსტებას, სამეურნეო კადრების გახრწნას, მუშათა კლასის განიარაღებას, გადაგვარების შესახებ ლაყბობას“.

ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში ადგილი არ არის და არც შეიძლება იყოს იმათთვის, ვინც თვითკრიტიკის ლოზუნგს აუხამსებს, ვისაც ცილისწამება და შარისთავობა ხელობად გაუხდია.

ვ. შავგულიძე.

* * *

გუშინ ამიერკავკასიის რკინიგზის პროკურორმა გვაცნობა, რომ მოქალაქე ა. ნ. ჩაგუნავა ცილისწამების, ლაყბობისა და პროვოკაციული ხმების გავრცელებისათვის დაპატიმრებულია და მიცემულია სასამართლო პასუხისგებაში.

მეტი ორგანიზებულობა ჩაის კრეფაში

ტყიბულის მეჩაიე კოლმეურნეობები პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ და კონკრეტული ვალდებულებები იკისრეს. ბეჯითად შრომობენ და შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ახალსოფლის სტალინის სახელობის, გელათის ენგელსის სახელობისა და ძიროვნის ბერიას სახელობის კოლმეურნეობები.

მაგრამ ასე არ ითქმის რაიონის ყველა მეჩაიე კოლმეურნეობაზე. მთელი რიგი კოლმეურნეობები არადამაკმაყოფილებლად იბრძვიან აღებულ ვალდებულებათა გასანაღდებლად, არ იყენებენ ყველა შესაძლებლობას შემოსული ფოთლის მოსაკრეფად, არ ახორციელებენ აგროწესებით გათვალისწინებულ მნიშვნელოვან ღონისძიებებს, ნაკლებად ზრუნავენ მოწინავე მეჩაიეთა გამოცდილების გასავრცელებლად. ამის გამო ტყიბულის რაიონი ჩაის კრეფაში ჩამორჩა. 5 სექტემბრისათვის ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა შესრულებული იყო მხოლოდ 65 პროცენტით.

სოფელ ჯვარისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში პლანტაციის ნაწილი დაუმუშავებელია, ეკალ-ბარდით არის დაფარული. წელს მასში არ შეუტანიათ 24 ტონა აზოტის სასუქი. ამ ბოლო დროს მათ უფრო შეანელეს ჩაის კრეფის ტემპი. ყოველდღიურად არ სრულდება გეგმები. ამას კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა არახელსაყრელი ამინდით ხსნის, რაც სწორი არ არის. 6 სექტემბერს მესამე ბრიგადის პლანტაციების დათვალიერების დროს ფოთოლი კარგად იყო შემოსული, მაგრამ ჩაის მასობრივად არ კრეფდნენ. ნ. გიორგაძე, თ. გიორგაძე, ქ. გიორგაძე და მ. გიორგაძე საკრეფად დაგვიანებით, დღის 11 საათზე, გავიდნენ და თვითეულმა ფოთოლი უმნიშვნელო რაოდენობით მოკრიფა. მეორე და მესამე ბრიგადების პლანტაციები, რომლებიც სოფლის ახლოს მდებარეობს, შემოღობილი არ არის და, შეიძლება ითქვას, ღორების საძოვრად არის გადაქცეული.

სოფელ გურნის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე მ. ხერხაძე) კრეფაში ჩამორჩა. ქალთა შრომა მთლიანად არ არის გამოყენებული. მაგალითად, 6 სექტემბერს ოლღა ძოწენიძე და ლილი ხერხაძე საკრეფად საღამოს 6 საათზე გავიდნენ, ნ. ჩუბინიძემ უმიზეზოდ გააცდინა 27 აგვისტო, ნინო კაკუშაძემ — 30 აგვისტო, ხოლო მერი ხვადაგიანმა —31 აგვისტო. ხშირად აცდენენ დღეებს და საზოგადოებრივ შრომაში აქტიურად არ მონაწილეობენ მ. დარსაძე და პ. გაბაძაძე.

სოჩხეთის გამსხვილებულ კოლმეურნეობაში ჩაი წამყვანი დარგია. მიუხედავად ამისა კრეფაში ჩამორჩენა სექტემბერშიც გრძელდება. საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია კი გადამჭრელ ზომებს არ იღებს მდგომარეობის გამოსასწორებლად. კოლმეურნეობაში ჩაშლილია საგიტაციო-მასობრივი მუშაობა. აგიტატორები არ განუმარტავენ კოლმეურნეებს ჩაის კრეფის გეგმის შესრულების დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას. აგიტატორს ა. კაკუშაძეს, რომელიც ამავე კოლმეურნეობის კლუბის გამგეა, ერთ თვეზე მეტია არ მოუწყვია საგიტაციო საუბარი პირველი ბრიგადის მეჩაიე ქალებთან. პრაქტიკაში არ არის შემოღებული საველე გაზეთების გამოშვება. არ ეწყობა მოწინავე მკრეფავთა გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

ცუდად დგას სოჩხეთიდან ორპირის ჩაის ფაბრიკამდე ნედლეულის გადაზიდვის საქმე. ამ კოლმეურნეობის ტერიტორიაზე მოწყობილი იყო ორი მიმღები პუნქტი. ამ ერთი კვირის წინათ ერთი მიმღები პუნქტი გააუქმეს. მაგრამ კოლმეურნეობის გამგეობა ამ პუნქტის გაუქმებას არ სცნობს და წინანდებურად ჩაის ფოთოლი ისევ იქ მიაქვს, ხოლო ჩაის ფაბრიკა თავის მხრივ თავს ვალდებულად არ თვლის ნედლეული დროულად გადაზიდოს. ეს იწვევს ფოთლის ხარისხის გაუარესებას.

პუნქტის გაუქმების გამო მოუწესრიგებელია ჩაის ფოთლის გადაზიდვა სოფელ კურსების კოლმეურნეობიდან.

ტყიბულელმა მეჩაიეებმა უნდა დაძლიონ ჩამორჩენა და უზრუნველყონ წლიური გეგმის შესრულება.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ნაკლოვანებებისადმი შემარიგებლობის შედეგი“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 17 ივნისის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც მხილებული იყო მთელი რიგი დამახინჯებანი ცაგერის რაიონის სოფელ ტვიშის კოლმეურნეობა „გამარჯვებაში“. გაკრიტიკებული იყო პარტიის ცაგერის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების მუშაობა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცაგერის რაიკომმა კრიტიკა სწორად ცნო და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად. კოლმეურნეობის სუსტი ხელმძღვანელობისათვის, დატაცებული ქონების დასაბრუნებლად ზომების მიუღებლობის, დებიტორული დავალიანების დაშვების, ყურძნის მოსავლიდან ზედმეტი ავანსის გაცემისათვის სოფელ ტვიშის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს კომუნისტ ამხ. გ. ასათიანს გამოეცხადა სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით. მკაცრი პარტიული სასჯელი დაედოთ ფერმის გამგეს შ. ბანძალაძეს, კოლმეურნეობის ბუღალტერს შ. ქობულაძეს. ტვიშის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ლომთაძეს და პარტიის ცაგერის რაიკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგეს ამხ. შ. გასვიანს.

საკოლმეურნეო ქონების დატაცებისა და სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის წინააღმდეგ ზომების მიუღებლობისათვის რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ამხ. დ. ჩარკვიანი მოხსნილია სამუშაოდან და დადებული აქვს მკაცრი პარტიული სასჯელი.

კომუნისტი

ხუთშაბათი, 11 სექტემბერი, 1952 წ. № 214 (9376)

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარადი და დემონსტრაცია სოფიაში საბჭოთა არმიის მიერ ბულგარეთის განთავისუფლების დღის აღსანიშნავად

სოფია, 9 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ფაშისტური მონობისაგან ძლევამოსილი საბჭოთა არმიის მიერ ბულგარეთის განთავისუფლების მერვე წლისთავის გამო სოფიაში გაიმართა სამხედრო პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია.

9 სექტემბრის მოედანი სადღესასწაულოდ არის მორთული. მინისტრთა საბჭოს შენობის ფასადზე მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადის ი. ბ. სტალინის დიდი პორტრეტი. ცისფერ ფონზე მკაფიოდ ჩანს ლოზუნგი: „სამარადისო მადლობა ჩვენს განმათავისუფლებელს — დიდ საბჭოთა კავშირს!".

სტუმრების ტრიბუნებზე არიან სოციალისტური შრომის გმირები, დიმიტროვული პრემიის ლაურეატები, სტახანოველები და რაციონალიზატორები, სოფლის მეურნეობის მოწინავეები, მეცნიერები, კულტურისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები, მრავალი უცხოელი სტუმარი.

7 საათსა და 45 წუთზე გიორგი დიმიტროვის მავზოლეუმის ტრიბუნაზე ადიან მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ვილკო ჩერვენკოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები გიორგი ჩანკოვი, რაიკო დამიანოვი, ანტონ იუგოვი, მინჩო ნეიჩევი, ტოდორ ჟივკოვი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები გიორგი ტრაიკოვი და ივანე მიხაილოვი, საბჭოთა მთავრობის დელეგაცია რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მ. პ. ტარასოვის მეთაურობით, სხვა ქვეყნების მთავრობათა დელეგაციები, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები. ტრიბუნაზე მათმა გამოჩენამ გამოიწვია მქუხარე ტაში და შეძახილები დიდი სტალინის პატივსაცემად.

სახალხო თავდაცვის მინისტრმა გენერალ-პოლკოვნიკმა პეტრე პანჩევსკიმ მისასალმებელი სიტყვით მიმართა ჩამწკრივებულ ჯარებს და მიულოცა მათ დიდი ეროვნული დღესასწაული —ბულგარეთის განთავისუფლების დღე. მან მოუწოდა კიდევ უფრო ძლიერ განამტკიცონ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვა, იყონ საბჭოთა კავშირის—მშვიდობისა და სოციალიზმის მიუვალი ციხე-სიმაგრის — ბოლომდე ერთგულნი, კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმონ თავიანთი რიგები ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის გენიალური ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო.

მოედანზე გრიალებს ძლიერი „ვაშა!" გაისმის არტილერიის ზალპი. დაიწყო პარადი, რომლის დამთავრების შემდეგ მოედანზე შემოვიდნენ დემონსტრანტთა კოლონები. მშრომელებს მოჰქონდათ პროლეტარიატის დიდი მასწავლებლებისა და ბელადების — მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის პორტრეტები, დიმიტრი ბლაგოევის, გიორგი დიმიტროვის, ვილკო ჩერვენკოვის, სახალხო დემოკრატიულ სახელმწიფოთა მთავრობების მეთაურთა, კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელთა პორტრეტები.

დემონსტრანტთა კოლონებს მოაქვთ მოწოდებანი: „გაუმარჯოს თავისუფალ სახალხო-დემოკრატიულ ბულგარეთს!", „გაუმარჯოს ჩვენს მასწავლებელსა და ბელადს სტალინს!", „ბულგარეთის კომპარტიის ხელმძღვანელობით, ვილკო ჩერვენკოვის მეთაურობით, წინ სოციალიზმისაკენ!", „საუკუნოობით ცოცხლობდეს და ყვაოდეს ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა!", „დიდება განმათავისუფლებელ საბჭოთა არმიას!".

დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო სოფიის 300 ათასმა მშრომელმა.

უშიშროების საბჭოს 8 სექტემბრის სხდომა

ნიუ-იორკი, 9 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ უშიშროების საბჭოს სხდომაზე დაამთავრეს განხილვა და კენჭი უყარეს საბჭოთა იმ წინადადებას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ერთდროულად მიღებულ იქნას 14 სახელმწიფო, რომლებმაც განცხადებები შეიტანეს, სახელდობრ: ალბანეთი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა, უნგრეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, ავსტრია, ცეილონი, ტრანსიორდანია, ლიბია, ნეპალი, იტალია, ფინეთი, პორტუგალია და ირლანდია.

მას შემდეგ, რაც მოკლე სიტყვა წარმოთქვა ბრაზილიის დელეგატმა, რომელმაც გაილაშქრა საბჭოთა წინადადების წინააღმდეგ და ჩვეულებრივად სიტყვასიტყვით გაიმეორა ამერიკის დელეგატის უსაფუძვლო არგუმენტაცია, საბჭოს განსახილველად წარდგენილ იქნა გომინდანელის წინადადება. ეს წინადადება, რომელიც აშკარად ინსპირირებულია ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მიერ, ითვალისწინებდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღების შესახებ იმ ქვეყნების მიერ შეტანილი განცხადებებისათვის ცალცალკე კენჭისყრას, რომლებიც ჩამოთვლილია საბჭოთა კავშირის წინადადებაში.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ი. ა. მალიკმა მტკიცედ გაილაშქრა საბჭოთა წინადადების მოწინააღმდეგეთა განზრახვის წინააღმდეგ—დაენაწევრებინათ ეს წინადადება, და მოითხოვა, რომ რეზოლუციის საბჭოთა პროექტისათვის კენჭი ეყარათ იმ სახით, როგორითაც იგი შეტანილია საბჭოში, დამოუკიდებლად იმისა, მოსწონთ თუ არა მისი შინაარსი ამ წინადადების მოწინააღმდეგეებს.

უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე, ბრაზილიის დელეგატი იძულებული გახდა დასთანხმებოდა საბჭოთა წარმომადგენლის არგუმენტაციას, და რეზოლუციის საბჭოთა კავშირის პროექტს კენჭი უყარეს მთლიანად. მას ხმა მისცეს საბჭოთა კავშირისა და პაკისტანის წარმომადგენლებმა. ინგლისის, საფრანგეთის, ჩილისა და თურქეთის დელეგატებმა კენჭისყრაში თავი შეიკავეს. რეზოლუციის საბჭოთა პროექტის წინააღმდეგ ხმა მისცეს შეერთებული შტატების, საბერძნეთის, ბრაზილიის, ჰოლანდიის დელეგატებმა და გომინდანელმა. რეზოლუციის პროექტი უშიშროების საბჭომ არ მიიღო, რადგან პროექტმა საჭირო 7 ხმა ვერ შეაგროვა.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ აპირებს შეუდგეს განხილვას უშიშროების საბჭოს დღის წესრიგის მესამე პუნქტის—გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღების შესახებ ახალი განცხადებების—იაპონიისა და ამერიკა-საფრანგეთის მარიონეტების—ბაო დაის ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის განცხადებათა განხილვას. ამასთან მან მოითხოვა, უშიშროების საბჭოს გადაედო დღის წესრიგის მეორე პუნქტის განხილვა—ახალი წევრების მიღების შესახებ გენერალური ასამბლეის № 506-VI რეზოლუციის განხილვა.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა მალიკმა საბჭოს წევრთა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წევრებად ერთდროულად მიღების შესახებ საბჭოთა წინადადების უარყოფით უშიშროების საბჭომ არსებითად ამოწურა გენერალური ასამბლეის აღნიშნული რეზოლუციის განხილვა. ამიტომ საჭირო არ არის დაისვას საკითხი იმის შესახებ, რომ გადაიდოს დღის წესრიგის მეორე პუნქტის განხილვა, რამდენადაც იგი არსებითად ამოწურულია საბჭოთა წინადადების განხილვით.

ბრაზილიისა და საბერძნეთის დელეგატები დაჟინებით მოითხოვდნენ მიეღოთ გადაწყვეტილება — რამდენიმე ხნით გადადებულიყო მეორე პუნქტის განხილვა და დაეწყოთ ეგრეთწოდებული ახალი განცხადებების, ე. ი. იაპონიისა და სხვა ქვეყნების განცხადებების განხილვა.

ბონის შეთქმულების წინააღმდეგ!

ერთიანი, დამოუკიდებელი, მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის

ბერლინი, 9 სექტემბერი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის გადაწყვეტილებას, რომ გერმანიის პრობლემის რაც შეიძლება უფრო სწრაფი მოწესრიგების მიზნით ბონის პარლამენტის დეპუტატებთან მოსალაპარაკებლად გაიგზავნონ სახალხო პალატის წარმომადგენლები, მხურვალედ იწონებს დასავლეთ გერმანიის ყველა პატრიოტულად განწყობილი გერმანელი.

მიესალმებიან რა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს ახალ ინიციატივას, დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები მას აფასებენ როგორც შემდგომ ნაბიჯს ერთიანი, დამოუკიდებელი და მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის ბრძოლის გზაზე.

ჰამბურგისა და შლეზვიგ-ჰოლშტაინის თავისუფალი სოციალური კავშირის ორგანიზაციის თავმჯდომარე ვილი ებერლაინი შეეხო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის გადაწყვეტილებას და განაცხადა: „გერმანიის აღმოსავლეთისა და დასავლეთის მთავრობებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ, რათა მიაღწიონ ურთიერთგაგების დამყარებას გერმანელთა შორის. ამიტომ მე მივესალმები სახალხო პალატის ახალ ინიციატივას, რადგან ამაში ვხედავ იმის დადასტურებას, რომ აღმოსავლეთ გერმანიის მთავრობა დაინტერესებულია გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანებით. ყველა გერმანელმა აღმოსავლეთსა და დასავლეთში მხარი უნდა დაუჭიროს ამ ნაბიჯს. ჩვენ, ჩვენი მხრივ, მოვითხოვთ დასავლეთისაგან, რომ იგი, ბოლოს და ბოლოს, დათანხმდეს მოლაპარაკების მოწყობაზე. საბჭოთა კავშირის უკანასკნელი ნოტა შესაძლებლობას იძლევა მიღწეულ იქნას დადებითი შედეგები".

ნიურნბერგელი პროფესორი ეშენლორი შეეხო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის გადაწყვეტილებას — თავისი წარმომადგენლები გაგზავნოს ბონში და თქვა: „სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ და მისმა დეპუტატებმა ფედერალურ პარლამენტში უნდა გადაწყვიტონ—ან ისინი სერიოზულად გამოვლენ გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის, ანდა მხარს დაუჭერენ ადენაუერის მთავრობის საბედისწერო კურსს, რომელიც ომით სპეკულაციას ეწევა. თუ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელები ახლაც უარყოფითად მოეპყრობიან ახალ ინიციატივას, მაშინ პრაქტიკულად ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ ისინი ემხრობიან „საერთო ხელშეკრულებას" და შეთანხმებას დასავლეთ ევროპის არმიის შესახებ".

„თუ კიდევ საჭიროა დამამტკიცებელი საბუთი, რა ენერგიას იჩენს და რა თანმიმდევრულ პოლიტიკას ახორციელებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა გერმანიის გაერთიანების პირველხარისხოვანი ამოცანის გადაჭრაში, ეს საბუთი შეიძლება იყოს სახალხო პალატის ახალი ინიციატივა,—განაცხადა ნიურნბერგელმა ჟურნალისტმა ემილ დე მარტინიმ.—ყოველ საღად მოაზროვნე ადამიანს ესმის, თუ რა საშიშარ შედეგებს მოუტანდა გერმანიას ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებათა რატიფიკაცია. გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის რეალურ შესაძლებლობას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის წინადადება".

ლიბანის მთავრობის გადადგომა

პარიზი, 9 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ბეირუთიდან იუწყება, დღეს დილით ლიბანის მთავრობა გადადგა.

ლიბანის ახალი მთავრობა

ბეირუთი, 9 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ბეირუთის რადიო იუწყება, ლიბანის პრეზიდენტმა დანიშნა ლიბანის ახალი მთავრობა, რომელშიც შედიან: პრემიერ-მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი, ინფორმაციის მინისტრი, სოფლის მეურნეობის მინისტრი და ეროვნული თავდაცვის მინისტრი — ნაზემ აკარი; პრემიერ-მინისტრის მოადგილე, ეროვნული ეკონომიკის მინისტრი, საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი, განათლების მინისტრი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი — ბაზილ ტრადი; იუსტიციის მინისტრი, ფინანსთა მინისტრი, ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრი, სოციალურ საქმეთა მინისტრი — მუსა მუბარაკი.

იტალიელი გლეხები ფუშავენ ამერიკის აეროდრომის მშენებლობას

რომი, 9 სექტემბერი. (საკდესი). ტრევიზოს პროვინციის (ვენეციის ოლქი) ორი სოფლის — ისტრანისა და ვედელაგოს მცხოვრებლებმა გაბედული მოქმედებით ჩაფუშეს ამერიკელთა ცდა—დაეწყოთ ახალი სამხედრო აეროდრომის—ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის ავიაბაზის მშენებლობა. ამ აეროდრომის მშენებლობის გეგმით უნდა აეყაროს 400 კომლი გლეხი მათი ფერმებით და ეზოებით, რომლებიც წვრილ მესაკუთრეებსა და მოიჯარეებს ეკუთვნიან.

გაზეთი „უნიტა" იუწყება დაწვრილებით ცნობებს, რომ ამ რაიონის მოსახლეობა გამოდის სამხედრო მშენებლობის ამერიკული გეგმების წინააღმდეგ. როგორც კი ამერიკის პირველი მუხლუხა ტრაქტორი გაემართა თავისი ბაზიდან ვედელაგოში დამუშავებული მინდვრებისაკენ, მცხოვრებლებმა განგაში ატეხეს. ბევრი სოფლის მამაკაცები, ქალები და ბავშვები დაუყოვნებლივ შეიკრიბნენ გზაზე ამერიკელთა ტრაქტორის წინ, რომელიც კარაბინერთა რაზმის დაცვით ცდილობდა გაერღვია ხალხის გროვა და გასულიყო მინდორში. კარაბინერები კონდახებს ურტყამდნენ გლეხებს და ცდილობდნენ გზა გაეკაფათ ტრაქტორისათვის. შეტაკების დროს სცემეს და დაჭრეს ქალები და ბავშვები. მაგრამ გლეხებმა მაინც გააჩერეს მანქანა და აიძულეს იგი უკან დაბრუნებულიყო.

მოსახლეობა მისდევდა ამერიკელთა უკანდახეულ მანქანას იტალიელ მშრომელთა ჰიმნის „ბანდიერა როსას" სიმღერით. ეს ჰიმნი პირველად გაისმა ამ რაიონში, რომელიც აქამდე ქრისტიან დემოკრატთა პარტიისა და „კათოლიკური მოქმედების" ორგანიზაციის „ნაკრძალად" ითვლებოდა.

ტუნისის კომპარტიის ხელმძღვანელები კვლავ საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსეს

პარიზი, 9 სექტემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ლუმანიტე" იუწყება, ტუნისის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები მოჰამედ ენაფაა და მორის ნიზარი, რომლებიც ქალაქ სიდი-აბდალას ჰოსპიტალში სამკურნალოდ იმყოფებოდნენ, ყოველგვარი ახსნა-განმარტების მიუცემლად კვლავ გადაიყვანეს ზაარურის საკონცენტრაციო ბანაკში.

გაზეთი აგრეთვე იუწყება, რომ ტუნისის მშრომელთა საყოველთაო კავშირის გენერალური მდივანი ბელჰასენ ჰიარი, რომელიც 6 სექტემბერს დააპატიმრეს, გაათავისუფლეს იმის შემდეგ, რომ ტუნისელმა ხალხმა და სხვა ქვეყნების მშრომელებმა პროტესტი განაცხადეს.

მდგომარეობა ეგვიპტეში

პარიზი, 9 სექტემბერი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს კაიროელი კორესპონდენტის ცნობით, 8 სექტემბერს ღამით ეგვიპტის მინისტრთა საბჭომ პრემიერ-მინისტრის, გენერალ ნაგიბის თავმჯდომარეობით მოიწონა კანონპროექტი პოლიტიკური პარტიების რეორგანიზაციის შესახებ. ახალი კანონი ითვალისწინებს, რომ „ყველამ, ვისაც სურს შექმნას პოლიტიკური პარტია, უნდა აცნობოს ეს შინაგან საქმეთა მინისტრს, დაურთოს თავის თხოვნას პარტიის შექმნის ნებართვის შესახებ მოხსენება პარტიის ორგანიზაციული სტრუქტურისა და მატერიალური რესურსების შესახებ, აგრეთვე დამფუძნებელ წევრთა სია. შინაგან საქმეთა მინისტრს უფლება აქვს ხელი შეუშალოს პარტიის შექმნას.

კაიროში ფიქრობენ, დასძენს სააგენტო, რომ კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად ამჟამად არსებული პარტიები პრაქტიკულად იძულებული გახდებიან თავი დაშლილად გამოაცხადონ.

მდგომარეობა ირანში

თეირანი, 9 სექტემბერი. (საკდესი). როგორც დღეს გაზეთები აღნიშნავენ, მეჯლისის 10 სექტემბრისათვის დანიშნული სხდომა შესაძლოა გადაიდოს 15 სექტემბრამდე.

გაზეთი „ჟურნალ დე ტეგერანი" ამას იმით ხსნის, რომ ირანის პრემიერ-მინისტრი მოსადეკი „განაგრძობს მოლაპარაკების წარმოებას", რომელიც თითქოს „შეიძლება დამთავრდეს ნავთის საკითხის გადაჭრით" და რომ მას სურს გამოცხადდეს მეჯლისში ამ მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 9 სექტემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობით დღეს სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით განაგრძობდნენ თავდაცვითს ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ.

ამერიკის მხარის ახალი მანევრები პანმინჯონის მოლაპარაკებაში

სინხუას სააგენტო ამერიკის მთავარი დელეგატის ჰარისონის განცხადების შესახებ

პეკინი, 9 სექტემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კესონელი კორესპონდენტის ცნობაში ნათქვამია:

4 სექტემბერს კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკებაზე ჰარისონმა თავის განცხადებაში წამოაყენა აბსურდული არგუმენტი იმის შესახებ, რომ ტყვედ წაყვანილი ჩინელი სახალხო მოხალისენი, რომელთა დაკავებასაც აპირებენ ამერიკელები, „თავშესაფარს" ეძებენ.

ეს უაზრო არგუმენტი წამოაყენეს ამერიკელებმა, რათა დააკავონ სამხედრო ტყვეები. ამერიკელთა მიერ სამხედრო ტყვეების გულცივი მკვლელობა და მათთან სასტიკი მოპყრობა მთელი მსოფლიოსათვის ცნობილია. სამხედრო ტყვეების ამერიკული ბანაკები, სადაც ტერორია გამეფებული, მაგალითია ამერიკული „თავშესაფრისა", სადაც ყოველდღე ხვრეტენ, აწამებენ, სცემენ, მძიმე სამუშაოებზე გზავნიან ან აშიმშილებენ ათასობით სამხედრო ტყვეს.

ამერიკელებმა წამოაყენეს სულელური მოთხოვნა იმის შესახებ, რომ კორეისა და ჩინეთის მხარემ ნება დართოს ტყვე ჩინელები და კორეელები გადასცენ სხვა ქვეყანას. ამ მოთხოვნის საფუძველზე ამერიკელები ცდილობენ ტყვე ჩინელი სახალხო მოხალისენი გაგზავნონ „თავშესაფარში"—ჩან კაი-შის ბანდიტური ძალების ნაშთებთან. მაგრამ სამხედრო ტყვეები, რომელთა შესახებ ამერიკელები ყალბად ამტკიცებენ, რომ ისინი „თავშესაფარს" ეძებენ, გმირულად და შეუპოვრად ეწინააღმდეგებიან ასეთ ამერიკულ „თავშესაფარში" მოთავსებას. მიუხედავად ამერიკელთა მხრივ სასტიკი სისხლიანი დევნისა, ისინი მოითხოვენ სამშობლოში რეპატრიაციას და მტკიცედ გამოდიან იმის წინააღმდეგ, რომ ისინი ძალით ჩაუგდონ ხელში რაიმე საბაბით ჩან კაი-შის—ჩინელი ხალხის ამ უბოროტეს მტერს.

სინამდვილეში ყოველგვარი საბაბი, რომელსაც ამერიკელები იყენებენ, თავისთავად სრული დარღვევაა საერთაშორისო სამართლისა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ომში ტყვედ წაყვანილი ყველა ადამიანი სამხედრო ტყვეა და საერთო არა აქვს რა პოლიტიკურ ემიგრანტებთან, რომლებიც თავშესაფარს ეძებენ. ჟენევის კონვენცია, რომელსაც შეერთებულმა შტატებმაც მოაწერეს ხელი, ზუსტად განსაზღვრავს სამხედრო ტყვეთა სტატუსსა და საომარი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ მათი დაუყოვნებლივი რეპატრიაციის უფლებას. კონვენციაში ერთი სიტყვაც არ არის იმ მტკიცების მხარდასაჭერად, რომ ტყვეებს შეიძლება მოეპყრონ როგორც პოლიტემიგრანტებს, მიუხედავად იმისა, რომ მოლაპარაკება მიძღვნილია მხოლოდ სამხედრო დაზავებისადმი, ამერიკელები ცდილობენ განსახილველად დააყენონ აბსურდული პოლიტიკური საკითხი, რომელსაც საერთო არა აქვს რა სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის საკითხებთან. ეს ამტკიცებს მხოლოდ იმას, რომ ამერიკელთ განზრახვა აქვთ დააკავონ ტყვეები და არა სურთ დაზავება.

ეს სასაცილო არგუმენტი ამერიკელებისა, რომლებიც ცდილობენ სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის საკითხი შეცვალონ პოლიტემიგრანტთა თავშესაფრის უფლების საკითხით, ფართოდ გაიზიარა ამერიკისა და ინგლისის რეაქციულმა პრესამ, მაგრამ მხილებულ იქნა ჩვენი მხარის მიერ როგორც სრულიად დაუსაბუთებელი. ის ფაქტი, რომ ჰარისონმა კვლავ აღძრა კონფერენციის მაგიდასთან ეს საკითხი, ცხადყოფს, თუ რამდენად ამოიწურა მისი არგუმენტები.

ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ იმას, რომ რა საბაბსაც უნდა მიმართავდნენ ამერიკელები, ჩვენი მხარე არ მოითმენს სამხედრო ტყვეების დაკავებას, რომ ყველა ტყვის რეპატრიაცია სავსებით შეესაბამება საერთაშორისო სამართალსა და ჰუმანურობას და რომ ჩვენი მხარე მომავალშიც მტკიცედ მოითხოვს ამ გონივრული, სამართლიანი პრინციპის განხორციელებას.

სრულიად კორეის მშვიდობის დაცვის კონფერენციაზე

ფხენიანი, 9 სექტემბერი. (საკდესი). მშვიდობისათვის კორეელ მებრძოლთა 1.500-ზე მეტმა წარმომადგენელმა მოიყარა თავი ფხენიანში სრულიად კორეის მშვიდობის დაცვის მეორე კონფერენციაზე. დარბაზში, სადაც კონფერენცია მიმდინარეობს, არიან მუშები, გლეხები, მეცნიერები, სტუდენტები, მწერლები, ხელოვნების მუშაკები და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. სცენა მორთულია ი. ბ. სტალინის, კიმ ირ სენისა და მაო ძე-დუნის პორტრეტებით. პრეზიდიუმში არიან მშვიდობისათვის ცნობილი კორეელი მებრძოლები — პაკ დენ აი, ხე დენ სუკი, ხან სერ ია, ლი გი დენი და სხვები. მოხსენება გააკეთა კორეის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ მწერალმა ხან სერ იამ, რომელმაც დაწვრილებით დაახასიათა კორეელი ხალხის ბრძოლა კორეის მშვიდობისათვის და მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმის განმტკიცებისათვის. მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მშვიდობის კორეელ მომხრეთა ბრძოლა მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვის მსოფლიო მოძრაობის ერთ-ერთი რგოლია.

ჩვენი კონფერენცია, თქვა ხან სერ იამ, იმ დღეებში მიმდინარეობს, როცა ამერიკელი აგრესორები კორეელი ხალხის წინააღმდეგ იყენებენ მასობრივი მოსპობის ყველაზე საშინელ სახის იარაღს, მათ შორის ბაქტერიოლოგიურ იარაღს. არ ძალუძთ რა გატეხონ კორეელი ხალხის ნებისყოფა ბრძოლის ველზე, ამერიკელები, რომლებიც ისწრაფვიან გადააქციონ კორეა შორეულ აღმოსავლეთში ომის გაფართოების პლაცდარმად, ჯიუტად აცხადებენ უარს განიხილონ ჩვენი მხარის წინადადება ცეცხლის რაც შეიძლება მალე შეწყვეტისა და დაზავების შესახებ. აზიის ხალხთათვის ნათელია ომის ამერიკელ გამჩაღებელთა ეს ავის მომასწავებელი პოლიტიკა. აზიის ხალხები სულ უფრო ფართოდ აჩაღებენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას მშვიდობისათვის, თავიანთი ქვეყნების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

კორეელი ხალხი, ისევე როგორც აზიის ყველა ხალხი, უდიდესი აღფრთოვანებით ემზადება აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესისათვის.

კორეელი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ამერიკელ აგრესორთა ინტერვენციის წინააღმდეგ, განაგრძობს ხან სერ ია, ამავე დროს მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლაა. ჩვენმა ხალხმა კარგად იცის ეს და ამიტომ მედგრად და მტკიცედ იგერიებს ამერიკის აგრესიას. ჩვენი ხალხის ბრძოლა სარგებლობს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის ფართო სიმპათიითა და მხარდაჭერით, რაც ამტკიცებს ჩვენი ხალხის რწმენას აუცილებელი გამარჯვებისადმი.

ხან სერ იამ აღნიშნა, რომ მშვიდობისათვის ბრძოლის ამოცანები ის არის, რომ გაერთიანდეს მშვიდობის მომხრეთა ღონისძიებანი კორეის ჩრდილოეთსა და სამხრეთში, გაჩაღდეს ბრძოლა კორეასა და შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარებისათვის, მხილებულ იქნას ამერიკელ აგრესორთა — ახალი მსოფლიო ომის გამჩაღებელთა ბოროტმოქმედებანი; გაფართოვდეს შემდგომში მთელი მსოფლიოს მშვიდობის მომხრეთა საერთაშორისო კავშირი; გაძლიერდეს ბრძოლა ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და ატომური იარაღის აკრძალვისათვის, იაპონიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ, აგრეთვე კორეის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისათვის.

ხან სერ იას მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ კორეელ პროტესტანტთა კავშირის წევრები კან კან რუკი, კორეის დემოკრატიული ახალგაზრდობის კავშირის წარმომადგენელი ლი ხან ი, პასტორი კიმ ჩან ჯინი და სხვები. კონფერენციის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს მიმართვა მშვიდობის ყველა მომხრისადმი, აირჩიეს მშვიდობის მომხრეთა პეკინისა და ვენის კონგრესების დელეგატები და კორეის მშვიდობის დაცვის კომიტეტის წევრები.

კალათბურთელთა შეჯიბრება სსრ კავშირის 1952 წლის პირველობისათვის

მეხუთე დღე

ერევანი, 10 სექტემბერი. („კომუნისტის" სპეც. კორ.). დღეს, დილის ნახევარფინალურ შეხვედრათაგან საინტერესო იყო მოსკოვის „დინამოსა" და ლენინგრადის ელექტროტექნიკური ინსტიტუტის ვაჟთა გუნდების შეჯიბრება, რომელიც დამთავრდა მოსკოველთა მორიგი გამარჯვებით 59:47.

თბილისის „ნაუკას" ქალთა გუნდი 10 სექტემბერს შეხვდა ლენინგრადის „ისკრას". შეჯიბრების უკანასკნელ სამ წუთამდე ინიციატივას თბილისელები ინარჩუნებდნენ, მაგრამ ბოლო წუთებში დაუშვეს რამდენიმე ტაქტიკური შეცდომა და წააგეს 32:36.

თბილისის „დინამოს" კალათბურთელები შეხვდნენ ერევნის ფიზკულტურის ინსტიტუტის ვაჟთა გუნდს, შეჯიბრება თბილისელთა გამარჯვებით დამთავრდა. ანგარიშია—68:33.

მოსკოვის ვვს-ის კალათბურთელები წარმატებით იბრძოდნენ რიგას „დაუგავას" ვაჟთა გუნდის წინააღმდეგ და მეორე გამარჯვება მოიპოვეს ანგარიშით 38:31. ლენინგრადის „სპარტაკის" ქალთა გუნდმა მოუგო ტარტუს კალათბურთელთა კოლექტივს 43:42. რიგას „დაუგავას" ქალთა გუნდმა დაამარცხა კიევის „დინამო" 17:16.

დღეს, 11 სექტემბერს შედგება ნახევარ ფინალურ ჯგუფებში მონაწილეთა უკანასკნელი შეხვედრები.

ილია ჭავჭავაძის ხსოვნის საღამო

პარასკევს, 12 სექტემბერს, მწერალთა კლუბი (მაჩაბლის ქ. № 13) მართავს დიდი ქართველი მწერლის ი. ჭავჭავაძის ხსოვნის საღამოს მისი გარდაცვალების 45 წლისთავის აღსანიშნავად.

საღამოს პროგრამაშია: ლ. ასათიანის მოხსენება ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, მწერლებისა და პოეტების—ა. აბაშელის, შ. ამისულაშვილის, ხ. ბერულავას, კ. ბობოხიძის, ა. გომიაშვილის, ს. თავაძის, კ. კალაძის, ა. მირცხულავას, ი. ნონეშვილის და ს. ფაშალიშვილის გამოსვლები. საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ ა. ვასაძე, თ. ჭავჭავაძე, შ. ღამბაშიძე, პ. კობახიძე, მ. ჩახავა, ვ. გოძიაშვილი, ს. თაყაიშვილი და სხვ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე, შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

პირველი გვერდი — „პრავდის" 10/IX მოწინავე — საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება.

ნ. მ. შვერნიკმა მიიღო მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ი. ცედენბალი.

საერთო სათაურით „ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით. ჩაღდება ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკათა მშრომელების შეჯიბრება ყრილობის აღსანიშნავად" წერილები: ახალგაზრდა სამრეწველო ქალაქების რუსთავისა და სუმგაიტის მეგობრობა. ახალი ხუთწლედის ადამიანები — ბურღვის ოსტატი ნიკოლოზ დოლიძე-შვილი.

პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად (მკითხველთა წერილების მიმოხილვა).

მეორე გვერდი — აფხაზეთის საოლქო პარტიული კონფერენცია.

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში.

მესამე გვერდი — ლენინ-სტალინის საქმისათვის სამსახურის დიადი მაგალითი (ფ. ე. ძერჟინსკის დაბადების 75 წლისთავის გამო).

სახალხო მწერალი (დ. კლდიაშვილის დაბადების 90 წლისთავის გამო).

გავაუმჯობესოთ ქვანახშირის ხარისხი.

ნ. ნოვიცკი — ცილისმწამებელი ალექსანდრე ჩაგუნავა.

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორი გ. მერკვილაძე

საქართველოს რადიოგადაცემათა 12 სექტემბრის პროგრამა

რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით: 06.25 — ვარიაციები რუსულ თემებზე; 07.30—საბალეტო მუსიკის კონცერტი; 09.20 — მუსიკალური ნაწყვეტები კინოფილმებიდან; 10.30 — ლიტერატურული გადაცემა — ილია ჭავჭავაძის პოემა „კაკო ყაჩაღი"; 11.00 — კონცერტი სახალხო დემოკრატიის ქვეყნების კომპოზიტორთა ნაწარმოებებიდან; 12.15 — ქართული ხალხური სიმღერები; 12.45 — საცეკვაოები გლინკას ოპერა „რუსლან და ლუდმილადან"; 17.15 — კონცერტი შუბერტის, შუმანის და ლისტის ნაწარმოებებიდან; 17.40 — გადაცემა მოსწავლეებისათვის: ი. ურჯუმელაშვილის მოთხრობა „სტუმრები"; 18.15 — სცენები ბოროდინის ოპერა „თავად იგორიდან"; 19.20 — ქართული სიმფონიური მუსიკის კონცერტი; 19.45 — საუბარი: „ტექნიკის ისტორიის საკითხისათვის".

რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით: 20.30 — რადიოსადგურებით გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის; 20.30 — ქალაქის ქსელით — საქართველოს რადიოკომიტეტის გუნდის კონცერტი; 20.45 — სულხან ცინცაძის საკვარტეტო მინიატიურები; 21.00 — საუბარი: „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი"; 21.50 — ლიტერატურულ-მუსიკალური გადაცემა, მიძღვნილი ილია ჭავჭავაძისადმი; 22.50 — ნაწყვეტები რუს კომპოზიტორთა მიერ გოგოლის სიუჟეტებზე დაწერილი ოპერებიდან; 00.05 — პოპულარული მუსიკის კონცერტი.

დღეს თეატრებში

მარჯანიშვილის სახელობის — ვარდი ასფურცლოვანი; **გრიბოედოვის სახელობის** — მგლები და ცხვრები (აბონემენტი 31, 32); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — გაქვავებული ქალაქი (აბონემენტი 10, 62, დასაწყისი 2 საათსა და 30 წუთზე ფილარმონიის შენობაში), ძველი ჭრილობა (აბონემენტი 6, დასაწყისი 7 საათზე თეატრის შენობაში), **მუსიკალური კომედიის** — ტრემბიტა; **სანკულტურის** — ერთი ოჯახის ისტორია.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად:

1. განყოფილების გამგე (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი) — 3 ადგილი (ვეგეტაციური პათოლოგიის განყოფილების, სასამართლო-ფსიქიატრიის ექსპერტიზის განყოფილების და ბავშვთა ფსიქიატრიის განყოფილების).

2. უფროსი მეცნიერი მუშაკი (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი)—3 ადგილი (მოსაზღვრე მდგომარეობათა განყოფილების, ვეგეტაციური პათოლოგიის განყოფილების და უმაღლესი ნერვული მოქმედების განყოფილების — ნერვული სისტემის არქიტექტონიკის).

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა განცხადება უნდა შეიტანონ ინსტიტუტის დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი, წოდებისა და ხარისხის საბუთების ასლი, სამეცნიერო შრომების სია, დახასიათება უკანასკნელი სამუშაოდან. კონკურსის ვადაა 30 დღე.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, ელექტრონის შესახვევი № 4.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი აცხადებს, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) ა. წ. 25 სექტემბერს დილის 11 საათზე შედგება ფსიქოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომა, რომელზეც პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორის (ფსიქოლოგიაში) სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ზოსიმე ილარიონის-ძე ხოჯავა** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ჩვევის პრობლემა ფსიქოლოგიაში".**

ოფიციალური ოპონენტები: პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ა. თ. ბოჭორიშვილი,** პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **რ. გ. ნათაძე** და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **ი. თ. ბჟალავა.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ჯავახიშვილის ქ. № 1).

კოლმეურნეობათა გამგეობებო და მოქალაქენო!

დადეთ ცხოველების დაზღვევის ხელშეკრულებები.

სახდაზღვევა ანაზღაურებს ავადმყოფობის ან უბედური შემთხვევის გამო პირუტყვის სიკვდილით გამოწვეულ ზარალს. დაზღვევა შეიძლება ცხენებისა, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა, ცხვრისა, თხისა, ღორისა და სხვა ცხოველებისა.

დაზღვევის ხელშეკრულებების დასადებად მიმართეთ სახდაზღვევის ინსპექციას ან დაზღვევის აგენტებს.

საპროექტო ინსტიტუტის „საქკომუნპროექტის" თანამშრომლები იუწყებიან **რევაზ ნესტორის-ძე რუხაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 11-IX, 5 ს. კლარა ცეტკინის ქ. № 142.

ქალაქის პირველი საავადმყოფოს დირექცია, პარტიული, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციები იუწყებიან **ამბროსი ზაქარიას-ძე ჩიჩინაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე პოლინა, შვილები ლიზა, ქეთევან, ჯაბა, კარლო, სიძეები მიხეილ, კოტე, დები ლუბა, ნინო, ფედოსი შვილებით იუწყებიან **პლატონ მარტოფინის-ძე ებრალიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 11-IX, 8 ს. ქ. თბილისში, ატენის ქ. № 15, დაკრძალვა ლანჩხუთში.

მეუღლე ფატმა, შვილები თამარ, ირაკლი, სერგო, ელენე ოჯახებით იუწყებიან **დავით გრიგოლის-ძე ჩოფიკაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 11, 12-IX, 8 ს. გამოსვენება 13-IX, 5 ს. კიროვის ქ. № 8.

პიონერთა სასახლის კოლექტივი იუწყება **ელენე გიორგის ასულ გაბიტაშვილის** გარდაცვალებას.

შვილები პეტრე, ეკატერინე, ვანდა, რძალი თამარ გეგენავა, სიძეები ი. ჯორბენაძე, შ. გიორგობიანი, შვილიშვილები მარინე, ბესიკ, თემურ იუწყებიან **კესარია კიმოთეს ასულ ფირცხალაიშვილი-სიხარულიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13-IX, 8 ს. გამოსვენება 14-IX, გრიბოედოვის ქ. № 30.

მარჯვენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის მუშამოსამსახურენი იუწყებიან **ვერა ფარცხალაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-IX, ქ. წულუკიძეში.

პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექცია და პროფესორ-მასწავლებლები იუწყებიან **მელიტონ ქიქინაძის** გარდაცვალებას.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებისა: პარტიული ცხოვრების — 3-81-84, პროპაგანდის—3-57-61, მრეწველობის—3-81-84, სოფლის მეურნეობის — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, ადგილობრივი ინფორმაციისა და უცხოეთის ინფორმაციის—3-80-83, კულტურისა და ყოფაცხოვრების, კორესპონდენტთა ქსელის, საქმეთა მმართველობის — 3-80-84, მშრომელთა წერილების—3-73-24, განცხადებების—3-51-81, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 05446